პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისაო, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

KOMUNISTI ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО КОМИТЕТА КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 32-ე წელი

ხუთშაბათი, 8 აპრილი, 1952 წ. № 80 (9246). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში

ამხანაგ ი. ბ. სტალინის მისალმება კუზნეცკის მეტალურგიული კომბინატის კოლექტივისადმი (1-ლი გვერდი).

საბჭოთა ვაჭრობის შემდგომი აღმავლობისათვის — მოწინავე (1-ლი გვერდი).

საინფორმაციო ცნობა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ (1-ლი გვერდი).

მშრომელთა კეთილდღეობისათვის სტალინურ მზრუნველობას საბჭოთა ხალხი ახალი შრომითი საგმირო საქმეებით უპასუხებს (1-ლი გვერდი).

ჩქაროსნულ ჭრაში წინ გადადგმული ნაბიჯი (მე-2 გვერდი).

სტუდენტთა შორის პროფკავშირული მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის (მე-2 გვერდი).

სამეცნიერო-დაფეხულობის კარტიული ორგანიზაციებისა (მე-2 გვერდი).

საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრება (მე-2 გვერდი).

საკოლმეურნეო სასხრეს უთავბოლოდ ხარჯავენ (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

ქალაქი სტალინსკი

კუზნეცკის მეტალურგიული კომბინატი

კომბინატის დირექტორს ამხანაგ ბელანს
კომბინატის მთავარ ინჟინერს ამხანაგ ერმოლაევს
საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხანაგ კარპოვს
ქარხნის თავმჯდომარეს ამხანაგ პისტეხინს
საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის კომორგს ამხანაგ რეზნიკოვს

მივესალმები და ვულოცავ კუზნეცკის მეტალურგიული კომბინატისა და ტრესტ „სტალინსკრეწვმშენის“ მუშებს, ინჟინრებს, ტექნიკოსებსა და მოსამსახურეებს კომბინატის — ჩვენი ქვეყნის მძლავრი და ტექნიკურად მოწინავე მეტალურგიული საწარმოს ამუშავების ოცი წლისთავს.

კუზნეცკელი მეტალურგები საბჭოთა კავშირის გმირი მუშათა კლასის პირველ რიგებში არიან, პირნათლად ასრულებდნენ და ასრულებენ პარტიისა და მთავრობის დავალებას სახალხო მეურნეობის ლითონით უზრუნველყოფის დარგში.

სულით და გულით გისურვებთ, ამხანაგებო, ახალ-ახალ წარმატებას თქვენს მუშაობაში.

ი. სტალინი

საბჭოთა ვაჭრობის შემდგომი აღმავლობისათვის

ჩვენი სახალხო მეურნეობის მძლავრი აღმავლობის შედეგად განუხრელად მაღლდება მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის დონე. წლითიწლობით იზრდება საბჭოთა სახელმწიფოს ნაციონალური შემოსავალი, იზრდება მუშა-მოსამსახურეთა რეალური ხელფასი, დიდდება კოლმეურნეთა შემოსავალი. ხალხის კეთილდღეობისათვის სტალინური ზრუნვის მკაფიო მაგალითია მასობრივი მოხმარების საქონლის ფასების ახალი, სათვალავით მეხუთე, შემცირების შესახებ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის დადგენილება.

უკანასკნელ ხანს არაჩვეულებრივი ტემპით განვითარდა და გაიმარა საბჭოთა ვაჭრობა, განმტკიცდა მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ქალაქებსა, რაიონებსა და სოფლებში გაიხსნა ათასობით ახალი მაღაზია, პავილიონი, სასადილო, რომლებიც უზრუნველყოფილი არიან მაღალხარისხოვანი სასურსათო და სამრეწველო საქონლის ასორტიმენტით, ამაღლდა ვაჭრობის კულტურა.

ვაჭრობა პარტიული და საბჭოთა ორგანოების ღვიძილი საქმეა. დიდი სტალინი გვასწავლის: **„...საბჭოთა ვაჭრობა ჩვენი საკუთარი, ბოლშევიკური საქმეა, ხოლო ვაჭრობის მუშაკები, მათ შორის დახლის მუშაკები, თუ ისინი პატიოსნად მუშაობენ, — ჩვენი, რევოლუციური, ბოლშევიკური საქმის გამტარებლები არიან“.**

ბოლშევიკური პარტიის მიერ მიღებულმა მთელმა რიგმა ღონისძიებებმა ძირფესვიანად გარდაქმნეს და გააუმჯობესეს სავაჭრო ორგანიზაციათა კადრების აღზრდის საქმე. დახლის მუშაკთა შორის ასობით არის პატიოსანი, თავდადებული ადამიანი. ისინი ღირსეულად ასრულებენ მათთვის დაკისრებულ ამოცანას — კულტურულად ემსახურებიან მომხმარებლებს.

მიუხედავად გარკვეული მიღწევებისა, სავაჭრო ორგანიზაციების მუშაობაში ჯერ კიდევ მრავალი დამახინჯება და ნაკლოვანებაა. კერძოდ ამ ნაკლოვანებებს ვხვდებით საქვაჭრობის, თბილმრეწვავაჭრობის, მარჯენეა და მარცხენა სანაპიროს სასადილოების ტრესტების, თბილუნივერმაღის, „გლავგასტრონომის“, საკოლმეურნეო ბაზრების მუშაობაში. დამახინჯებანი სავაჭრო ქსელში გამოვლინებულ იქნა ახალი ფასებით ვაჭრობის პირველ დღეებშიც.

ხშირია მოსახლეობის მოთხოვნილების მხედველობაში მიუღებლად საქონლის შეზიდვის ფაქტები, რაც ხელს უშლის საქონელბრუნვის გეგმების შესრულებას. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ სუსტად არის დაყენებული მუშაობა ვაჭრობის ტექნიკის გაუმჯობესებისა და კულტურის ამაღლების საქმეში. თვით დედაქალაქშიც ზოგიერთი მაღაზია გაფორმებითა და ტექნიკური მოწყობილობით ვერ უპასუხებს საბჭოთა კულტურული ვაჭრობის მოთხოვნილებებს.

ზოგიერთი სავაჭრო ორგანიზაციის ხელმძღვანელს დღემდე ვერ გაუგია კრიტიკისა და თვითკრიტიკის უდიდესი მნიშვნელობა, მისი, როგორც საბჭოთა სოციალისტური საზოგადოების ერთ-ერთი მამოძრავებელი ძალის როლი. ასეთი „ხელმძღვანელები“ ზერელედ, ან სრულიად არ ეხმაურებიან მშრომელთა კრიტიკულ შენიშვნებს, სიგნალებს. კადრების ცუდი შერჩევის, სუსტი სარევიზიო მუშაობის შედეგად მარცხენა და მარჯვენა სანაპიროს თბილკვებვაჭრობაში არის სოციალისტური ქონების განიავება-დატაცების შემთხვევები.

რევიზიების ზერელედ, უხარისხოდ ჩატარებას ხშირად მივყავართ სამწუხარო შედეგებამდე. ამ უკანასკნელ ხანს ბორჯომის რაიკავშირში გამოვლინებულ იქნა დიდი თანხების გაფლანგვა. ამ დანაშაულის ჩადენამდე და ჩადენის პერიოდში არაერთხელ მოხდა რევიზია, მაგრამ ცეკავშირის რევიზორებმა რატომღაც „ვერ შეამჩნიეს“ არსებული დანაშაულობანი.

ზოგჯერ სავაჭრო ორგანიზაციების ხელმძღვანელები აჭიანურებენ გამოვლინებული დამნაშავეთა სამართალში გადაცემას პროკურატურის ორგანოებისათვის. ახმეტის რაიკავშირის გამგეობამ საწყობის გამგე ჩეკურიშვილი პასუხისგებაში არ მისცა 12.784 მანეთის გაფლანგვისათვის, იგი მხოლოდ გადაიყვანეს მეორე საწყობში, სადაც ბორტმოქმედმა ათიათასობით მანეთი მიითვისა. საჩხერის რაიკავშირის ხელმძღვანელებმა 10.057 მანეთის გამფლანგველს (მაღაზიის გამგე აბრამიშვილი და გამყიდველი ენუქიძე) სასჯელად დანაკლისის დაფარვა და სამუშაოდან მოხსნა აკმარეს. ასეთი ფაქტები ერთეული როდია.

არსებული ნაკლოვანებანი იმითაც აიხსნება, რომ ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები საჭირო ყურადღებას არ აქცევენ კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის საქმეს. მთელ რიგ რაიონებში დახლის მუშაკთა შორის არადამაკმაყოფილებლად არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება, არ ხდება ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების შემოწმება, მოწინავეთა გამოცდილების განზოგადება.

ხშირად სავაჭრო ორგანიზაციების ნორმალურ მუშაობას ხელს უშლის მზა პროდუქციის ჩაბარების გეგმის შეუსრულებლობა. მსუბუქი და ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროების ზოგიერთი საწარმო, სარეწაო და ინვალიდთა კოოპერაციის არტელები ყოველთვის დროულად და ხარისხოვნად არ ასრულებენ მოსახლეობისათვის საჭირო საქონლის გამოშვების გეგმებს.

ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა, სამრეწველო, სავაჭრო ორგანიზაციების ხელმძღვანელთა წინაშე მეტად სერიოზული და პასუხსაგები ამოცანები დგას ვაჭრობის შემდგომი განვითარებისა და გაშლის საქმეში. პარტიულმა ორგანიზაციებმა დახლის მუშაკთა შორის ფართოდ უნდა გაიჩაღონ პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა, ჩაუნერგონ მათ დავალებული საქმისადმი პასუხისმგებლობის გრძნობა. ვაჭრობის საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად მნიშვნელოვანი როლი ენიჭებათ რაიონული საბჭოების აღმასკომთა ვაჭრობის განყოფილებებს, მუდმივ კომისიებს, დეპუტატებს, აქტივს. ისინი უნდა იყვნენ კულტურული საბჭოთა ვაჭრობის ნამდვილი ორგანიზატორები, დროულად ამჩნევდნენ შეცდომებსა და ნაკლოვანებებს, იღებდნენ ქმედით ზომებს მათი აღმოფხვრისათვის.

მასობრივი მოხმარების საქონლის ფასების ახალი შემცირება ახალ ამოცანებს სახავს ვაჭრობის მუშაკთა წინაშე. საჭიროა გადაჭრით გარდავქმნათ სავაჭრო ორგანიზაციების საქმიანობა. კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაშლით დაუყოვნებლივ აღმოვფხვრათ სავაჭრო ორგანიზაციების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი, ავამაღლოთ საბჭოთა ვაჭრობის კულტურა.

საინფორმაციო ცნობა
საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

ამა წლის 1-2 აპრილს თბილისში გაიმართა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხები და მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება.

პლენუმმა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის მოვალეობისაგან გაათავისუფლა ამხ. **კ. ნ. ჩარკვიანი.**

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად პლენუმმა აირჩია ამხ. **ა. ი. მგელაძე.**

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბოლიტბიუროს წევრმა ამხ. **ლ. პ. ბერიამ.**

წყალი მოდის!

დაბა ვოსხოდი (როსტოვის ოლქი), 31 მარტი. (საკდესი). „წყალი მოდის!“ ახლა ამ სიტყვებს სიამაყით წარმოთქვამენ მოსიარულე ექსკავატორების მემანქანეები, ბულდოზერებისა და სკრეპერების მძღოლები, ყველა მშენებელი, ვისი მეცადინეობითაც უმაგალითოდ მოკლე ვადაში დონსგალმაველში გაყვანილ იქნა დონის მაგისტრალური არხის პირველი რიგის ტრასი. ამ ამბავზე სიხარულით ლაპარაკობენ მხვნელ-მთესველები.

ხალხის საუკუნეობრივი ოცნება სინამდვილედ იქცევა. ბოლშევიკური პარტიის, დიდი სტალინის ნებით შექმნილია უდიდესი არხები და ამ არხებით გვალვიან ველებში მოდის წყალი. კოლმეურნეები ხორბლის, ბრინჯის, ბამბისა და სხვა კულტურების უხვ მოსავალს მოიყვანენ.

სათავის ნაგებობიდან, რომელიც ზედ ციმლიანსკაიას ზღვასთან მდებარეობს, დაბა ვოსხოდამდე პირველი წყალი მიიღო დონის მაგისტრალურმა არხმა. დაიწყო ექსპლოატაციის წინ წყლის საცდელი გაშვება. საპროექტო ნიშნამდე არხის ასავსებად საჭიროა 3,5 მილიონი კუბური მეტრი წყალი. ეს შექმნის ამოყვანილ ჯებირებზე, რკინაბეტონისა და სხვა ჰიდროტექნიკურ ნაგებობებზე საჭირო წნევას და შესაძლებელს გახდის არხზე შესრულებული მთელი სამუშაოს ხარისხის შემოწმებას.

არხის ავსება ხდება არა დონის, როგორც წინათ ფიქრობდნენ, არამედ ლანქერის წყლით, რომელიც უხვად გროვდება დაბლობებში, ხრამებსა და ხევებში. ამრიგად, საჭირო აღარ არის არხის გასარეცხად დონიდან წყლის მექანიკური გადატუმბვა.

როგორც უკვე ვიუწყებოდით, ლანქერის წყალი არხში ჩადის დროებითი ჭრილებით, რომლებიც გაკეთებულია მარცხენა ნაპირის ჯებირში. დღეს დღის 12 საათისათვის წყლის დონემ არხში უკვე ოთხ მეტრამდე აიწია პირველი რიგის ტრასის მთელ სიგრძეზე. ოთხი დღის მანძილზე არხში ჩავიდა ორი მილიონი კუბური მეტრი წყალი.

დაიწყო მაგისტრალური არხიდან განშტოებული ქვემო დონის განმანაწილებელი არხის გარეცხვაც. აქ აგრეთვე გამოყენებულია არხის რაიონში დაგროვებული ლანქერის წყლების თავმოყრის მეთოდი. ნაპირის მიწაყრილებში მოწყობილი ჭრილებით წყალი არხში ჩადის. მისი 27 კილომეტრი სიგრძის პირველ უბანზე წყლის სიღრმე მეტრს უდრის.

არხის ავსება წარმატებით მიმდინარეობს.

საბჭოთა დელეგაცია საერთაშორისო ეკონომიურ თათბირზე

საბჭოთა სავაჭრო, სამრეწველო, კოოპერაციულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა, აგრეთვე სამეცნიერო-ეკონომიურმა დაწესებულებებმა გამოჰყვეს თავიანთი წარმომადგენლები საერთაშორისო ეკონომიურ თათბირზე საბჭოთა დელეგაციის შემადგენლობაში. დელეგაციაში შედიან სსრ კავშირის სავაჭრო პალატის წარმომადგენლები, მთელ რიგ საექსპორტო-საიმპორტო გაერთიანებათა ხელმძღვანელები, ტრესტებისა და საწარმოების დირექტორები, კოოპერაციული და პროფკავშირული მოღვაწეები, საბჭოთა ეკონომიური მეცნიერების წარმომადგენლები.

დელეგაციის შემადგენლობაში არიან: სსრ კავშირის სავაჭრო პალატის თავმჯდომარე მ. ვ. ნესტეროვი, პროფკავშირთა საკავშირო ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე ვ. ვ. კუზნეცოვი, სსრ კავშირის ცენტროსოიუზის გამგეობის თავმჯდომარე ი. ს. ხოხლოვი, სსრ კავშირის სავაჭრო პალატის თავმჯდომარის მოადგილე დ. გ. ბორისენკო, საკავშირო გაერთიანება „ექსპორტლესის“ თავმჯდომარე ვ. ნ. ნიჩკოვი, საკავშირო გაერთიანება „მაშინოიმპორტის“ თავმჯდომარე ი. ა. ერიომინი, საკავშირო გაერთიანება „რაზნოიმპორტის“ თავმჯდომარე ვ. ა. კამენსკი, საკავშირო გაერთიანება „ტეხპრომიმპორტის“ თავმჯდომარე ვ. პ. დაშკევიჩი, საკავშირო გაერთიანება „ექსპორტხლების“ თავმჯდომარე ნ. გ. ოსიპოვი, საკავშირო გაერთიანება „ტრანსმაშიმპორტის“ თავმჯდომარე ლ. ა. რაზინი, გაერთიანება „აზმორნეფტის“ უფროსი ე. ნ. ალიხანოვი, უზბეკეთის სსრ ბამბის ტრესტის მმართველი ნ. ნიშანოვი, სტალინის სახელობის მოსკოვის ავტომქარხნის დირექტორი კ. ვ. ვლასოვი, „ბოლშაია ივანოვსკაია მანუფაქტურის“ დირექტორი ლ. პ. ზვეზდინა, „გლავავტოტრაქტოროსობიტის“ მოსკოვის საოლქო კანტორის მმართველი ვ. ი. ჩუევი, რიგის პოპოვის სახელობის რადიოქარხნის დირექტორი მ. პ. ზაკისი, საგარეო ვაჭრობის სამეცნიერო-საკვლევი საკონიუქტურო ინსტიტუტის დირექტორი ნ. ვ. ორლოვი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი კ. ვ. ოსტროვიტიანოვი, აკადემიკოსი ს. გ. სტრუმილინი, აკადემიკოსი ე. ს. ვარგა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი ვ. ზ. გულისაშვილი, უზბეკეთის სსრ პროფკავშირთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ბ. ბეისენოვი, სსრ კავშირის საფეიქრო მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ა. მურავიოვა; „უკროპსპილკას“ (უკრაინა) თავმჯდომარე ს. ფ. მალიკოვი, ესტონეთის სსრ სამომხმარებლო საზოგადოებათა კავშირის თავმჯდომარე ვ. ი. ვაინო. (საკდესი).

საერთაშორისო საჭიდრაკო ჟურნირი ბუდაპეშტში
ტურნირში გაიმარჯვა გროსმაისტერმა პ. კერესმა

ბუდაპეშტი, 1 აპრილი. (საკდესი). 1 აპრილს გაიმართა ბ. მაროციის ხსოვნის საერთაშორისო ტურნირის უკანასკნელი მე-17 ტური. ბუდაპეშტელი მოჭადრაკენი მოწმე თვალნენ ამაღელვებელი ბრძოლისა, რომელიც თითქმის ყველა დაფაზე გაჩაღდა. სსრ კავშირის ჩემპიონმა კერესმა 38-ე სვლაზე მოუგო ბარცას და პირველი ადგილი მოიპოვა. ო'კელი-გელერის პარტია ყაიმით დამთავრდა. კერესმა მოიგოდა 12,5 ქულა. გელერს აქვს 12 ქულა. მესამე, მეოთხე და მეხუთე ადგილი გამოირკვევა ბოტვინიკ-პილნიკის, ბენკო-შტალბერგის და გერებენ-სმისლოვის დაუმთავრებელი პარტიების გათამაშების შემდეგ. გადადებულ პარტიებში ბოტვინიკსა და სმისლოვს ზედმეტი პაიკი აქვთ. ბენკოს აქვს ორი ზედმეტი გადამშული გამსვლელი პაიკი.

პეტროსიანმა მოუგო პლატცს, სიბომ—სილეს. ყაიმით დამთავრდა ტროიანესკუ-სლიეს და კოტნაუერ-გოლომბეკის პარტიები. 2 აპრილს მოხდება უკანასკნელი ტურის გადადებული პარტიების გათამაშება.

მშრომელთა კეთილდღეობისათვის სტალინურ მზრუნველობას საბჭოთა ხალხი ახალი შრომითი საგმირო საქმეებით უპასუხებს

მეშახტეები სტახანოვურ ვახტზე

ტყიბული. (საკ. კორ.). სტალინის სახელობის შახტის კოლექტივის მიტინგზე, რომელიც ფასების ახალ შემცირებას მიეძღვნა, სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, სახელმოხვეჭილმა მნგრეველმა შ. ფურცხვანიძემ.

ბურჟუაზიულ ქვეყნებში, — თქვა მან, — კაპიტალისტები და მათი ნების აღმსრულებლები ტრუმენები და ჩერჩილები ძარცვავენ მშრომელთა ფართო მასებს, სისტემატურად ამცირებენ მათი ცხოვრების საარსებო დონეს, ამზადებენ ახალ, უაჩალურ ომს. სულ სხვაა ჩვენში. მეშახტეთა რეალური ხელფასი ისე, როგორც ყველა მშრომელისა, დღითიდღე იზრდება, ხოლო საქონლის ფასები თანმიმდევრულად მცირდება. ულრმესი მადლობა დიდ სტალინს მშრომელთა შეძლებული და ბედნიერი ცხოვრებისათვის. პარტიისა და მთავრობის ამ მზრუნველობას ჩვენ, მეშახტეები, ვუპასუხებთ სტახანოვური შრომით. ვკისრულობ აპრილში ქვანახშირის მონგრევის პირადი დავალება 150 პროცენტით შევასრულო.

ხალხმრავალი მიტინგი მოეწყო ლენინის სახელობის შახტში. სიტყვით გამოსული სტახანოველი მეშახტეები ნ. ჭანკვეტაძე, მ. ბუბაშვილი, ვ. პაველიაშვილი, დ. კანდელაკი და სხვები მხურვალედ მიესალმნენ პარტიისა და მთავრობის დადგენილებას.

—ჩვენი მოვალეობაა, — ამბობდნენ ისინი, — ახალი ძალით გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება, სტახანოვური შრომით ვუპასუხოთ სტალინურ მზრუნველობას.

მშრომელთა კეთილდღეობისათვის პარტიისა და მთავრობის ამ ახალი მზრუნველობის პასუხად გელათის შახტის კოლექტივმა გადაწყვიტა სტახანოვურ ვახტზე დადგეს და ვადაზე ექვსი დღით ადრე გაანაღოს ქვანახშირის ამოღების აპრილის დავალება.

სამხრეთ ოსეთის მშრომელთა სიხარული

სტალინირი. (საკ. კორ.). ჩვენი დიადი სამშობლოს ხალხებთან ერთად სამხრეთ ოსეთის მშრომელები მხურვალე მადლობას უძღვნიან პარტიას, მთავრობას, მშობლიურ სტალინს ხალხის კეთილდღეობაზე განუწყვეტელი ზრუნვისათვის.

აღფრთოვანებით გაეცნენ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებას სტალინირის რაიონის სოფელ აჩაბეთის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის წევრები. მოწინავე საწარმოო ბრიგადის ხელმძღვანელმა ბ. ბაბუცაძემ განაცხადა:

— მთელი მსოფლიო ხედავს, თუ რა ბრწყინვალე შედეგები მოაქვს საბჭოთა ხალხის მშვიდობიან შრომას. ომისშემდგომ წლებში ჩვენთან მეხუთედ განხორციელდა საცალო ფასების შემცირება. ამის მსგავსი რამ არ შეიძლება მოხდეს კაპიტალისტურ ქვეყნებში. განუხრელად უმჯობესდება საბჭოთა ხალხის მატერიალური და კულტურული კეთილდღეობა. საბჭოთა ადამიანი საამურად და ბედნიერად ცხოვრობს. ეს იმიტომ, რომ ჩვენი სამშობლოს გიგანტურ წინსვლას, კომუნიზმის მშენებლობას ხელმძღვანელობს დიდი სტალინი. მადლობა მშობლიურ სტალინს ხალხის საბედნიეროდ შეუნელებელი ზრუნვისათვის.

კოლმეურნე ქეთევან პაპელიშვილმა თქვა: განუწყვეტლივ მაღლდება ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობები. ეს თვითეულ ჩვენგანს აღფრთოვანებს ახალი მამაცური შრომისათვის. პირობას ვიძლევი, რომ კიდევ უფრო გავაძლიერებთ ბრძოლას საკოლმეურნეო მინდვრებზე და მეცხოველეობის ფერმებში, შევქმნით საბოფლო-სამეურნეო პროდუქტების მეტ სიუხვეს.

პატრიოტული სიტყვებით გამოხატეს თავიანთი მადლობა და კმაყოფილება არტელის მოწინავე ადამიანებმა ლ. ბაბუციძემ, ბ. ჭულუხაძემ, ნ. ბაბუციძემ და სხვებმა.

აჩაბეთელმა კოლმეურნეებმა პირობა დადეს შემჭიდროებულ ვადებში და მაღალხარისხოვნად ჩაატარონ საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები, უზრუნველყონ უხვი მოსავლის მიღება.

პარტიისა და მთავრობის ამ დადგენილებას როგორც ჩვენი მძლავრი სამშობლოს ახალი გამარჯვების ნათელ ფაქტს კანონიერი სიამაყის გრძნობით ეცნობა სტალინირის, ლენინგორის, ზნაურის, ჯავის რაიონების ყველა მშრომელი.

საკოლმეურნეო სოფლის მშრომელთა აღფრთოვანება

მახარაძე. (საკ. კორ.). რაიონის მშრომელები უდიდესი სიხარულით შეხვდნენ ცნობას სასურსათო საქონლის ფასების ახალი შემცირების შესახებ. საკოლმეურნეო მინდვრებსა და საბჭოთა მეურნეობებში, საწარმოებსა და დაწესებულებებში აგიტატორები განუმარტავენ მშრომელთ პარტიისა და მთავრობის ამ ღონისძიების დიდ მნიშვნელობას.

სოფელ ძიმითის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, სოციალისტური შრომის გმირმა ს. მუხაშავრიამ კოლმეურნეთა მიტინგზე განაცხადა:

— ახლა, როდესაც ამერიკელი კაციჭამიები ბაქტერიოლოგიური ომით ცდილობენ კორეელი ხალხის განადგურებას, საბჭოთა მთავრობა ახორციელებს ფასების ახალ, სათვალავით მეხუთე, შემცირებას, რაც მიმართულია მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისაკენ. საკოლმეურნეო სოფლის მშრომელები პარტიისა და მთავრობის სტალინურ მზრუნველობას სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ამაღლებისათვის ბრძოლის გაძლიერებით ვუპასუხებთ.

— საბჭოთა პედაგოგები უსაზღვროდ აღფრთოვანებული ვართ საბჭოთა ადამიანებისათვის ამხანაგ სტალინის მშობლიური მზრუნველობით. ეს ღონისძიება გამოიწვევს მუშათა და მოსამსახურეთა რეალური ხელფასის გადიდებას, მშრომელთა მატერიალურ-კულტურული პირობების შემდგომ გაუმჯობესებას, — განაცხადა მახარაძის ვაჟთა საშუალო სკოლის დირექტორმა ვ. სიხარულიძემ.

რუსთავის მეტალურგთა სიტყვა

რუსთავი. (საკ. კორ.). მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროში სასურსათო საქონლის ფასების შემცირების შესახებ ცნობა ახალი მოსული იყო, როცა ღამის ცვლის მეფოლადეები სამუშაოზე გამოცხადდნენ. ჩქაროსანმა მეფოლადემ, აგიტატორმა შალვა კუხალეიშვილმა ახალგაზრდა მეტალურგებთან სახელდახელო საუბარი გაართა.

— სასურსათო საქონლის საცალო ფასების ახალი შემცირება, — განაცხადა მან, — საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის განუხრელი აღმავლობისათვის სტალინური მზრუნველობის კიდევ ერთი მკაფიო გამოხატულებაა. მაშინ როცა ამერიკელ-ინგლისელ იმპერიალისტთა ფულადი სახსრები ახალი ომისათვის გამალებულ მზადებას ხმარდება, ჩვენი პარტია და მთავრობა, მშობლიური სტალინი ყველა პირობას ქმნიან ქვეყნის ეკონომიური ძლიერების შემდგომი განმტკიცებისა და მშრომელთა მატერიალურ-კულტურული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

მეტალურგიული ქარხნის კოლექტივმა ღირსეულად შეასრულა დიდი ბელადისათვის მიცემული პირობა. მიმდინარე წლის პირველი კვარტალის საწარმოო დავალება ვადაზე ადრე შეასრულეთ, გეგმის გადამეტებით გამოვუშვით ასობით ტონა ფოლადი და ნაგლინი, დავზოგეთ 3 მილიონ კილოვატ-საათზე მეტი ელექტროენერგია. საბჭოთა მთავრობის მზრუნველობის პასუხად ჩვენ, ქართველი მეტალურგები, უკეთესი მაჩვენებლებით შევასრულებთ მე-2 კვარტალის საგეგმო დავალებებს.

ასეთივე საუბრები მოაწყეს აგიტატორებმა ვ. გიგიბერიამ, ვ. იაშვილმა, ი. მეტრეველმა, ი. წიკლაურმა და სხვებმა.

სტალინური მზრუნველობის პასუხად ქართველმა მეტალურგებმა გადიდებული შრომითი ვალდებულებები აიკისრეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს II სესიის გახსნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს II სესია გაიხსნება ამა წლის 5 აპრილს, საღამოს 8 საათზე გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო თეატრის შენობაში.

ჩქაროსნულ ჭრაში წინ გაღაღგმული ნაბიჯი

მინერალ-კერამიკული საჭრისების გამოცდას თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანაში ერთ-ერთი პირველთაგანი ძევუდექი. გამვლელი საჭრისების გამოცდისას კარგი შედეგი მომცა ტექნოლოგიურმა რეჟიმმა, როცა საჭრისის მიწოდება წუთში 0,4 მილიმეტრს უდრიდა, ჭრის სიღრმე 2 მილიმეტრს, ჭრის სიჩქარე 520 მეტრს, ხოლო შპინდელი წუთში 900 ბრუნვას ავიზარებდა. ჩქაროსნული ჭრის საქმეში წინ გადადგმულმა ნაბიჯმა ძალიან დამაინტერესა, გადავწყვიტე ყველა სახის საჭრისი გამომეცადა და ერთმანეთისათვის შემედარებინა. მაგრამ ქარხანაში არ აღმოჩნდა ყველა ასორტიმენტის მინერალურ-კერამიკული ფირფიტები.

ჩვენი ქარხნის ხელმძღვანელობამ თებერვალში მოსკოვში მიავლინა სპეციალური ბრიგადა ინჟინერ გ. სიმონიანისა და სტახანოველი ხარატის ი. ჭუმბურიძის შემადგენლობით. ბრიგადამ მოსკოვში დაათვალიერა მოწინავე საწარმოები, მათ შორის ქარხანა „კრასნი პროლეტარი“, ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხანა, მენდელეევის სახელობის ქიმიის საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი და გულდასმით გაეცნო მოსკოველი ამხანაგების გამოცდილებას კერამიკული საჭრისების გამოყენების საქმეში.

მოსკოვიდან ბრიგადამ მდიდარი მასალები ჩამოიტანა. ამ მასალების საფუძველზე ქარხანაში დაწყებულია დიდი მუშაობა წარმოებაში კერამიკული საჭრისების ფართოდ დანერგვისათვის.

ბრიგადის მოსკოვში ყოფნის დროს სათანადოდ მოვამზადე ჩემი დაზგა კერამიკული საჭრისით მუშაობის დასაწყებად: ფრიქციულ მექანიზმს, შპინდელის კვანძსა და სუპორტის წინაფარს რეგულაცია გავუკეთე. გარდა ამისა, საამქროს ტექნოლოგ რ. მაღარაძესთან ერთად შევქმენი სახარატო დაზგის ლუნეტის ახალი კონსტრუქცია. ლუნეტს საბრჯენ თათებში ბურთულოვანი საკისრები ჩავუდგი, ამით სრიალის ხახუნი შევცვალე გორვის ხახუნით, რამაც გაუმჯობესა ლუნეტის მუშაობის პირობები და აღმოფხვრა დეტალის თვითდამუხრუჭების შემთხვევები.

ჩვენი კონსტრუქციის ლუნეტის პირველ საცდელ ეგზემპლარს ნაკლი აღმოაჩნდა. დამტკიცებულიყო, ბურთულოვან საკისრებს გარეთა რგოლზე უწრთობი რკინის (ფოლადი—0) ბანდაჟი ჩამოვაცვით. ბანდაჟმა საკისრები გატეხისაგან მართლაც დაიცვა, მაგრამ სირბილის გამო მუშაობის დროს დეფორმაცია განიცადა, გარეზედაპირი ოდნავ დაეტკეცა, საერთო დიამეტრი მოემატა და ჩაწნეხილი საკისრების გარეთა რგოლზე თავისუფლად დაიწყო რყევა. მივხვდით, რომ ბანდაჟის მასალა სწორად არ გვქონდა შერჩეული.

ჩვენი კონსტრუქციის ლუნეტი მუშაობის პრინციპით ძალიან ემსგავსება ორთქლმავლისა და ვაგონების გოგორწყვილებს, რომლებსაც აგრეთვე ბანდაჟები აქვთ გარედან ჩამოცმული. გოგორწყვილების ბანდაჟის მასალა ისეა შერჩეული, რომ ათასობით კილომეტრზე ასობით ტონა ტვირთის დაწოლას უძლებს, ამასთან არ ითელება და მხოლოდ გარედან ცვეთას განიცდის. ჩვენ მთლიანად გამოვიყენეთ გოგორწყვილების მუშაობის ეს მსგავსება ლუნეტის საბრჯენი თათების საბრუნავი რგოლების მუშაობასთან. ლუნეტის ბანდაჟი უწრთობი რკინის ნაცვლად სპეციალური საბანდაჟე ფოლადისაგან დავამზადეთ და კარგი შედეგიც მივიღეთ.

ლუნეტის გამოცდის დროს ჩემს დაზგასთან თავი მოიყარეს საამქროს ხარატებმა. ლუნეტმა საუკეთესოდ იმუშავა შპინდელის მაქსიმალური ბრუნვის დროსაც. ხარატებმა სურვილი გამოთქვეს ასეთი ლუნეტები გაუკეთდეს ყველა სახარატო დაზგას. მათი აზრით, ჩემი კონსტრუქციის ლუნეტი დიდად დაეხმარება ყველას და განსაკუთრებით ჩქაროსან ხარატებს გრძელი დეტალების დამუშავებაში.

გ. სიმონიანმა და ი. ჭუმბურიძემ მოსკოვიდან ჩამოიტანეს სხვადასხვა სახისა და მარკის მინერალ-კერამიკული საჭრისები, სხვადასხვა კონსტრუქციის მექანიკური დამჭერები ფირფიტების დასამაგრებლად და ანათალის მმსხვრეველები. ამასთან დაწვრილებით გვიამბეს მათი გამოყენების მეთოდებზე.

საამქროს უფროსის მითითებით დავამზადე მინერალ-კერამიკული საჭრისების ამლესი მოწყობილობა. იგი სახარატო დაზგაზე მაგრდება და ნელი ბრუნვით (წუთში 25-30 ბრუნვა) ლესავს საჭრისს. ამლესი მოწყობილობა კორბორუნდის წვრილმარცვლოვანი ქვის, ფოლადის ბადროსა და მათი დამჭერი ტარისგან შედგება. საჭრისი ილესება კორბორუნდის წვრილმარცვლოვანი ქვით, ხოლო ფოლადის ბადრო მჭრელი წიბოს დაყვანას ახდენს.

ამჟამად ვმუშაობ სხვადასხვა ფირფიტების მექანიკური დამჭერების დასამზადებლად. ამ დამჭერების დამზადება ჩვენს საამქროში მინერალ-კერამიკული საჭრისების ფართოდ დანერგვის საშუალებას მოგვცემს.

ა. მარგველაშვილი
ჩქაროსანი ხარატი

ჭარხლის თესვა

ხაშური. (საკ. კორ.). სოფელ ვაყის, სატივისა და ზემომიწოების კოლმეურნეობებში გაჩაღდა შაქრის ჭარხლის თესვა. გომის ახალი მტს-ის მეორე სატრაქტორო ბრიგადა, რომელსაც შ. მოსიაშვილი ხელმძღვანელობს, დღეში თესავს 12 ჰექტარ ჭარხალს ნაცვლად 8 ჰექტარისა. მთესავი წ. მოსიაშვილი და ნიადაგის აოშვაზე მომუშავე ტრაქტორისტი პ. ბარათაშვილი ენერგიულად მუშაობენ. ტრაქტორებისა და სათესი მანქანების შეუფერხებელ მუშაობას ხელს უწყობენ კოლმეურნეები გ. მეზურნიშვილი, ი. ღამბარაშვილი, გ. მეტრეველი.

სოფელ სატივის კოლმეურნეობაში სატრაქტორო ბრიგადამ (ბრიგადირი ვ. ქელეხსაშვილი) მაღალხარისხოვნად დათესა 11 ჰექტარი შაქრის ჭარხალი.

აშენებენ ახალ ვენახს

ორჯონიკიძე. (საკ. კორ.). რაიონში წელს 35 ჰექტარ ვენახს გაშენებენ. აქედან 20 ჰექტარი გაშენდება ამ გაზაფხულზე. კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს გეგმით გათვალისწინებულ 650.000 ცალი ვაზის ნაცვლად 1 მილიონი ცალი დამყნონ.

საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრება

რუსთავის რკინიგზელთა ვალდებულებანი

რუსთავი. (საკ. კორ.). ტაგანროგისა და რუსთავის მეტალურგთა შორის გაჩაღებული შეჯიბრება დღითიდღე ფართოვდება. ამას წინათ ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის რკინიგზის საამქროს (უფროსი ვ. დავითაშვილი) მუშა-მოსამსახურეებმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს ტაგანროგის ანდრეევის სახელობის მეტალურგიული ქარხნის რკინიგზის საამქროს კოლექტივი. რუსთავის რკინიგზელებმა ვალდებულება იკისრეს ტვირთზიდვის მეორე კვარტალის დავალება შეასრულონ 105 პროცენტით, ვაგონების შეკეთების დავალება—110 პროცენტით, მნიშვნელოვნად შეამცირონ ტვირთზიდვის ღირებულება, პირველ მაისამდე გამოჭყონ სპეციალური სანიმუშო სამუშაო უბნები, ორთქლმავლები და ამწეები, რომელთა მუშაობა მიესაბამი უნდა გახდეს საამქროს ყველა რკინიგზელისათვის.

ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის მარტში ყველაზე უკეთეს მაჩვენებლები მოიპოვა ვაგონების დამტვირთავთა ცვლამ, რომელსაც მ. თათარაშვილი ხელმძღვანელობს.

საორთქლმავლო დეპოს ხარატი ბ. კოჩერიანი სამ დაზგაზე მუშაობს და დღიურ დავალებებს ორმაგად ასრულებს. ორთქლმავლის მემანქანე ა. ვამაკიძე თავის ორთქლმავალს ორ თვეზე მეტია გარეცხვითი რემონტის გაუკეთებლად ამუშავებს.

პირველხარისხოვანი პროდუქციისათვის მებრძოლი ბრიგადები

სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის კოლექტივმა საერთო პროდუქციის გამოშვების მარტის გეგმა 27 მარტისათვის შეასრულა, ხოლო ქალის წინდების გამოშვების დავალებას 20,2 პროცენტით გადააჭარბა, გეგმის გადამეტებით გამოუშვა ათეული ათასობით წყვილი წინდა.

—ვადაზე ადრე შევასრულოთ სასაქონლო პროდუქციის გამოშვების 4 თვის გეგმა, გეგმის გადამეტებით სამშობლოს მივცეთ 494 ათასი მანეთის პროდუქცია, 20 დღით ადრე შევასრულოთ წინდების გამოშვების 4 თვის დავალება, მარტთან შედარებით აპრილში 2 პროცენტით გავადიდოთ პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვება, — ასეთია თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის კოლექტივის საპირველმაისო ვალდებულებები.

საუკეთესო ხარისხის პროდუქციის გამომშვები ბრიგადის წოდების მოსაპოვებლად კომბინატში 112 ბრიგადა ეჯიბრება ერთმანეთს. მათ შორის თებერვალ-მარტში პირველობას ინარჩუნებენ მრთველთა და მქსოველთა ის ბრიგადები, რომლებსაც ს. მოსიშვილი და ა. მეკოკიშვილი ხელმძღვანელობენ. ა. მეკოკიშვილის ბრიგადა ძვირფასი კაპრონის ძაფისაგან ქალის წინდებს ქსოვს. თებერვალში ამ ბრიგადამ გამომუშავების ნორმა 141,5 პროცენტით შეასრულა, ხოლო გეგმით გათვალისწინებული 60 პროცენტის ნაცვლად 85,2 პროცენტი პირველხარისხოვანი პროდუქცია გამოუშვა, ამასთან დაზოგა 2,3 კილოგრამი ძვირფასი ნართი.

სტუდენტთა შორის პროფკავშირული მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა პროფესიულ ორგანიზაციას თვალსაჩინო წვლილი შეაქვს უნივერსიტეტში მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების, სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების, სტუდენტთა იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლების, კულტურულ-მასობრივი მუშაობის, სტუდენტთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობებისა და ფიზკულტურული მუშაობის გაუმჯობესების საქმეში.

სტუდენტი ახალგაზრდობის მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღების მიზნით შარშან პროფკავშირის კომიტეტმა მოაწყო თეორიული კონფერენცია თემაზე: „საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო“. თეორიული კონფერენცია გაიმართა ჯერ აკადემიურ ჯგუფებში, შემდეგ ფაკულტეტებზე, და ბოლოს მოეწყო საუნივერსიტეტო კონფერენცია. წაკითხულ იქნა 156 მოხსენება. კამათში მონაწილეობა მიიღო 736 სტუდენტმა. ამ კონფერენციებს დაესწრო სულ 5.332 სტუდენტი. თეორიული კონფერენციის— ორგანიზებულად მოწყობის საქმეში აქტიურ დახმარებას გიწევდა უნივერსიტეტის მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრა.

სტუდენტი ახალგაზრდობის მიერ მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლების მიზნით უნივერსიტეტში შექმნილია ლექტორიუმი, რომელშიც ჩაბმული არიან უნივერსიტეტის გამოჩენილი მეცნიერი მუშაკები.

უკანასკნელ წლებში საგრძნობლად გაუმჯობესდა სტუდენტთა მომსახურება. სტუდენტები ძირითადად უზრუნველყოფილი არიან კარგად მოწყობილი ლაბორატორიებით, კაბინეტებით და საერთო საცხოვრებლებით. პროფკავშირული ორგანიზაციის დახმარებით თვალსაჩინოდ გაუმჯობესდა სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების მუშაობა, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სტუდენტთა შორის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ჩვევების დანერგვას.

პროფორგანიზაცია ხშირად აწყობს სტუდენტთა ექსკურსიებს ისტორიული და ღირსშესანიშნავი ადგილების დასათვალიერებლად, კინოთეატრებში სურათების კოლექტიურად ნახვას, შეხვედრებს გამოჩენილ მოღვაწეებთან, სპექტაკლებისა და კინოფილმების საჯარო განხილვას.

სტუდენტი ახალგაზრდობის აღზრდაში დიდი მნიშვნელობა აქვს თვითმოქმედ წრეებს. თვითმოქმედ წრეებში სტუდენტები ეჩვევიან დროის რაციონალურად გამოყენებას, სამეცადინო და თავისუფალი დროის ერთმანეთთან შეხამებას, განამტკიცებენ დისციპლინას, აძლიერებენ საკუთარი თავისადმი და საზოგადოებისადმი პასუხისმგებლობის გრძნობას. უნივერსიტეტში არსებობს სიმფონიური ორკესტრი, მომღერალთა გუნდი, მოცეკვავეთა ანსამბლი, დრამატული წრე, ვოკალისტთა წრე და სხვ., რომლებიც ნაყოფიერად მუშაობენ.

უნივერსიტეტის სტუდენტთა პროფესიული ორგანიზაცია შეფობას უწევს ქალაქ ბაქოს ქართულ საშუალო სკოლას და სოფელ დიდი ლილოს კულტურის სახლს. უნივერსიტეტის ძალებით დიდი ლილოს კულტურის სახლში ხშირად ეწყობა ლექცია-მოხსენებები, იმართება კონცერტები. უნივერსიტეტმა კულტურის სახლს დიდი რაოდენობით გადასცა პოლიტიკური და მხატვრული ლიტერატურა, უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა დახმარებით კულტურის სახლში მოეწყო კაბინეტები.

შარშან დეკემბერში ბაქოს ქართულ საშუალო სკოლაში უნივერსიტეტიდან მივლინებულ იქნა დელეგაცია დოცენტ შ. მესხიას ხელმძღვანელობით. დელეგაციის წევრებმა ბაქოს ქართულ სკოლაში წაიკითხეს მოხსენებები: შ. მესხიამ — „საქართველოს სახელმწიფოს განვითარების ისტორიული ეტაპები“, სტუდენტებმა: ა. გვახარიამ — „ქართული ენის სიწმინდის შესახებ“, ბ. ურუშაძემ — „კომუნიზმის დიადი მშენებლობანი“. დელეგაციამ უნივერსიტეტის სტუდენტთა პროფორგანიზაციის სახელით ბაქოს ქართულ სკოლას საჩუქრად გადასცა პოლიტიკური და მხატვრული ლიტერატურა.

პროფკავშირული მუშაკისათვის არ არის იმაზე უფრო საპატიო მოვალეობა, ვიდრე მშრომელთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის ზრუნვა. უნივერსიტეტის სტუდენტთა პროფესიული ორგანიზაცია მთელ ძალლონეს ახმარს იმას, რომ მიაღწიოს სტუდენტთა საყოფაცხოვრებო პირობების კიდევ უფრო გაუმჯობესებას.

შარშან უნივერსიტეტის პროფორგანიზაციამ 280 სტუდენტს მისცა ერთდროული ფულადი დახმარება 50.000 მანეთის რაოდენობით, ხოლო 215 სტუდენტს—130 ათასი მანეთის ღირებულების საგზურები ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ფიზკულტურასა და სპორტს. უნივერსიტეტის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრა, აგრეთვე სასპორტო კლუბი თავიანთ მაღალკვალიფიციური მწვრთნელებით და კარგად მოწყობილი ფიზკულტურული დარბაზებით ენერგიულ მუშაობას ეწევიან უნივერსიტეტის სპორტსმენების კვალიფიკაციის ამაღლებისათვის. უნივერსიტეტში ჩამოყალიბებულია ტანვარჯიშის, მძლეოსნობის, ძალოსნობის, კალათბურთის, ალპინიზმის, ფრენბურთის, ქართული ჭიდაობის, კლასიკური ჭიდაობის, კრივის, მხატვრული ტანვარჯიშის, ცურაობის, ჩოგბურთისა და სხვა სექციები, სულ 22 სექცია.

1951-52 სასწავლო წელს პირნათლად დაიცვეს უნივერსიტეტის სპორტული ღირსება მთელმა რიგმა გუნდებმა. კლასიკურ მოჭიდავეთა გუნდი საკავშირო პროფსაბჭოს და სპორტსაზოგადოება „მეცნიერებას“ ცენტრალური საბჭოს ჩემპიონია; ქართულ მოჭიდაველთა გუნდი—თბილისის 1951 წლის ჩემპიონია; ჩოგბურთის გუნდი—სასპორტო საზოგადოება „მეცნიერებას“ ცენტრალური საბჭოს ჩემპიონია, ხოლო ყალათბურთელთა და ფეხბურთელთა გუნდები საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების ჩემპიონები არიან.

უნივერსიტეტის სტუდენტთა პროფესიულ ორგანიზაციას, მიუხედავად მის მიერ გაწეული საგრძნობი მუშაობისა, ჯერ კიდევ ბევრი აქვს გასაკეთებელი სტუდენტთა შორის კულტურულ-მასობრივი და აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების საქმეში.

ბ. ხუციშვილი
სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე

სოფლის მეურნეობის მაღალი კულტურა

ადიგენი (ფოსტით). — (საკ. კორ.). (თავმჯდომარე დ. ყულჯანიშვილი) სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისია, რომელსაც დეპუტატი სიმონ პეტაშვილი ხელმძღვანელობს, მნიშვნელოვან მუშაობას ეწევა.

1951 წლის 30 სექტემბერს სასოფლო საბჭოს სესიამ განიხილა სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისიის მუშაობის საკითხი. სესიის მიერ დასახულ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად მუდმივი კომისიის მუშაობას გამოცოცხლება დაეტყო. კომისიამ შარშან კარგად იმუშავა მოსავლის აღების პერიოდში დანაკარგების წინააღმდეგ ბრძოლისა და ნიადაგის რწყვის სამუშაოთა შესრულებისათვის.

გასული წლის შემოდგომაზე გადაწყდა რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობაში 100 სული ძროხისათვის მექანიზებული ბოსლის აგება. ბოსელში, მოეწყობა ძროხების ელექტროწველა, რაც დიდად შეამსუბუქებს კოლმეურნეთა შრომას.

მუდმივმა კომისიამ განიზრახა აქტიური მონაწილეობა მიიღოს მეცხოველეობის მექანიზაციის საქმეში. შეადგინა თავისი სამუშაო გეგმა, მოიწვია სხდომა. ბოსელი შენდება ისეთ ადგილას, სადაც პირუტყვის სასმელი წყალი არ არის. კომისიამ საჭიროდ ცნო დაჩქარებით დაიწყოს მახლობელი მდინარიდან ბოსლამდე არხის გაყვანა. გაჩაღდა მუშაობა არხის გასაყვანად. სწრაფი ტემპით წარმოებს ბოსლის მშენებლობა. მოზიდეს საშენი ქვა, შენობას საძირკველი ჩაუყარეს, ბოსელი მალე მზად იქნება.

სოფლის მეურნეობაში მექანიზაციის დანერგვისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს კახარეთის ელექტროსადგურს, რომელიც შენდება მდინარე ქობლიანზე, სოფელ უდეს ახლოს. ნოემბერში მუდმივმა კომისიამ შეამოწმა კახარეთის ელექტროსადგურის მშენებლობის მიმდინარეობის საკითხი. გამოირკვა, რომ სამუშაოზე ყოველდღიურად არ გამოდიან კახარეთელის მშენებლობაზე გამოყოფილი კოლმეურნეები. კომისიამ საბჭოს აღმასკომში შეიტანა მშენებლობის მუშახელით უზრუნველყოფის საკითხი. აღმასკომისა და კოლმეურნეობის გამგეობის საქმეში ჩარევის შედეგად ყოველდღიურად 80 კოლმეურნე აქტიურად მონაწილეობდა ჰესის მშენებლობაში. საგრძნობლად დაჩქარდა მშენებლობის ტემპიც.

მუდმივი კომისია მნიშვნელოვან მუშაობას ეწევა საგაზაფხულო თესვისათვის მოსამზადებლად. თებერვალში მუდმივმა კომისიამ შეამოწმა მუშაპირუტყვის მოვლისა და იარაღ-მანქანების რემონტის მიმდინარეობა. გამოირკვა, რომ მე-4, მე-7, მე-9, მე-14 და მე-15 ბრიგადებში ზოგიერთი კოლმეურნე პირუტყვის უხეშ ექსპლოატაციას ეწეოდა. გამგეობის ნებადაურთველად ხარებს კერძო სამუშაოზე იყენებდნენ. ბინებში საქონელი სივიწროვეში ჰყავდათ. არ ხდებოდა ფურაჟის წესიერად გაცემა. ზოგიერთი კოლმეურნე ფურაჟის ნაწილს კერძო საქონელს აძლევდა; წვრილი სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების რემონტის ტემპი დაბალი იყო. ახლა ეს ნაკლოვანებანი აღმოფხვრილია.

კოლმეურნეობა მომზადებული შეხვდა საგაზაფხულო თესვის სეზონს.

ე. ხარებავა
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

სამეცნიერო დაწესებულების პარტიული ორგანიზაცია

მრავალმხრივ საინტერესო მეცნიერულ მუშაობას ეწევა თბილისის სამეცნიერო-საკვლევი ვეტერინარული ინსტიტუტის კოლექტივი. ეს ინსტიტუტი 1949 წელს შეიქმნა სამეცნიერო-საკვლევი ვეტერინარული სადგურის ბაზაზე.

ინსტიტუტს ყველა პირობა აქვს მის წინაშე დასმული რთული პრობლემების სწორად გადაჭრისათვის. მის განკარგულებაშია 11 ლაბორატორია, შემოღებულია სამეცნიერო მივლინებები, როგორც ჩვენს რესპუბლიკაში, ისე რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ.

პარტბიურო (მდივანი მარიამ სამადაშვილი) ზრუნავს მეცნიერ მუშაკთა პოლიტიკური და პროფესიული ცოდნის ამაღლებისათვის, უნარიანად ხელმძღვანელობს მეცნიერ მუშაკთა თეორიულ სწავლებას. 9 ამხანაგმა შარშან დაამთავრა მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტი, წელს ცხრა კაცი მეცადინეობს საღამოს უნივერსიტეტში, 20 მეცნიერი თანამშრომელი დამოუკიდებლად იმაღლებს იდეურ დონეს. მათთან თვეში ერთხელ ეწყობა თეორიული გასაუბრება. კონსულტანტები გ. ნანობაშვილი, ნ. ლეკვეიშვილი, ვ. შამათავა ქმედით დახმარებას უწევენ თვითგანათლებაზე მომუშავე ამხანაგებს. საინტერესოდ მოაწყო მუშაობა დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შემსწავლელმა წრემ, რომელშიც 20 კაცი მეცადინეობს. წრის წევრები ხშირად კითხულობენ მოხსენებებს მიჩურინული ბიოლოგიის საკითხებზე. ამას წინათ მეცნიერ მუშაკმა ვ. ჯეირანაშვილმა წაიკითხა მოხსენება თემაზე „მენდელისტ-მორგანისტების კრიტიკისათვის მიკრობიოლოგიაში“, ხოლო ს. ბერულავამ—„მიკრობთა ცვალებადობა და სელექციის საკითხები“.

ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკთაგან 14 აგიტატორად არის დამტკიცებული, მათგან 10 დისახლისებს შორის ეწევა აგიტაციას. აგიტატორთა სასაუბრო თემები მრავალფეროვანია. აგიტატორებისა და თანამშრომლებისათვის თვეში ორჯერ ეწყობა ლექციები. ლექციები წაკითხულია შემდეგ თემებზე: „კომუნისტური მორალი და აღმზრდელობითი მუშაობის ამოცანები“, „ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი ბოლშევიკური სიფხიზლის შესახებ“ და სხვ.

ნაყოფიერად მუშაობს ინსტიტუტის სამეცნიერო წრე. მოეწყო შემდეგი მოხსენებანი: „მიჩურინული ბიოლოგიის ძირითადი პრინციპები“, „საბჭოთა ვეტერინარიის წამყვანი როლი მსოფლიო ვეტერინარული მეცნიერების განვითარების საქმეში“, „გარემო ფაქტორების გავლენა ინფექციურ დაავადებათა წარმოშობასა და მიმდინარეობაზე“. ამას წინათ დიდი აქტივობით ჩაიარა სამეცნიერო კონფერენციამ თემაზე: „მიჩურინული ბიოლოგიისა და პავლოვის ფიზიოლოგიური მოძღვრების საფუძვლები“.

სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა თავისი მუშაობით ხელი უნდა შეუწყოს რთული სამეცნიერო საკითხების პრაქტიკულ გადაწყვეტას. სამეცნიერო-საკვლევი ვეტერინარული ინსტიტუტის თემატიკა ისეა შედგენილი, რომ მასში გათვალისწინებული საკითხების გადაჭრა საგრძნობლად აჩქარებს მეცხოველეობის განვითარების დარგში რესპუბლიკის წინაშე მდგომი ამოცანების შესრულებას. ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკები სწავლობენ ცხოველთა და ფრინველთა ისეთ დაავადებებს, რომლებიც ნაკლებად, ან სრულებით არ არიან შესწავლილი, ამუშავებენ მათს საწინააღმდეგო ღონისძიებებს.

პარტიული ორგანიზაცია ისმენს ცალკეული ლაბორატორიებისა და მეცნიერი მუშაკების მუშაობის საკითხებს. ამას წინათ პარტიულმა კრებამ მოისმინა მეცნიერ მუშაკის ს. ბერულავას მოხსენება მისი სამეცნიერო და პრაქტიკული მუშაობის შესახებ. კრებაზე დამსწრეებმა მრავალი შენიშვნა მისცეს, რაც მან კარგად გაითვალისწინა შემდგომ მუშაობაში.

მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის დაავადებათა შემსწავლელი ლაბორატორია იმის გამო, რომ შეუფერებელ ბინაში იყო მოთავსებული, მთელ რიგ შემთხვევებში ვერ ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობას. პარტბიუროომ დროზე შეისწავლა აღნიშნული ლაბორატორიის მუშაობა. პარტიულმა კრებამ მოისმინა ლაბორატორიის გამგის ნინო ლეკვეიშვილის მოხსენება. გამოირკვა, რომ ზოგიერთი თანამშრომელი მთელი შესაძლებლობით არ მუშაობს, ლაბორატორია უზრუნველყოფილი არ იყო მედიკამენტებით, საცდელი ცხოველებით და სხვ. კომუნისტებმა წამოაყენეს წინადადებანი ლაბორატორიის მუშაობის გაუმჯობესებისათვის. მიღებულ იქნა დადგენილება, რომლის შესრულებამ გაუმჯობესა ლაბორატორიის მუშაობა. პარტიულმა კრებამ მოისმინა აგრეთვე ვეტერინარული მეცნიერების კანდიდატის ბ. პაიჭაძის მოხსენება სისხლის პარაზიტების წინააღმდეგ მის მიერ შემუშავებული პრეპარატების გამოყენების ახალი მეთოდის შესახებ.

ინსტიტუტის მთელი სამეცნიერო მუშაობა იქითკენ არის მიმართული, რომ თავისი წვლილი შეიტანოს მეცხოველეობის განვითარების საქმეში.

ხშირად ცხვრები ავადდებიან „შრეტელათი“. ვეტერინარული მეცნიერების დოქტორის პროფესორ ივანე კვესიტაძის ხელმძღვანელობით წვრილფეხა რქიანი საქონლის დაავადებათა შემსწავლელმა ლაბორატორიამ დაამზადა ცხვრების აგალაქტიის („შრეტელას“) საწინააღმდეგო ვაქცინა, რომელსაც დიდი პრაქტიკული გამოყენება აქვს.

ინსტიტუტმა იკისრა დაემუშავებინა ბრუცელოზის საწინააღმდეგო სამუალება მომთაბარე მეცხოველეობის პირობებში და ამავე დროს გამოეყენებინა მეცნიერებისა და პრაქტიკის მიღწევები სინამდვილეში. ინსტიტუტმა წამოაყენა მომთაბარე მეცხოველეობის პირობებში ბრუცელოზთან ბრძოლის შესაბამისი ღონისძიება (საძოვრულ-ზონალური და საძოვრულ-ტერიტორიული პრინციპის მიხედვით).

საქართველოს ფუტკარი ერთ-ერთი საუკეთესოა ჩვენში გავრცელებულ ფუტკრის ჯიშებს შორის. მისი დაცვა და გამრავლება ინსტიტუტის საპატიო ამოცანაა. ფუტკრის დაავადებათა შემსწავლელმა ლაბორატორიამ შეიმუშავა ფუტკრის დაავადების საწინააღმდეგო ღონისძიება.

ინსტიტუტის დირექცია ზრუნავს წარმოებასთან კავშირის გაღრმავებისათვის. ინსტიტუტის თემატიკა ისეთია, რომ უშუალოდ წარმოებაში დამუშავებას მოითხოვს. ამა თუ იმ საკითხის დამუშავების პროცესში მეცნიერი მუშაკები ერთგვარ დახმარებას უწევენ სოფლის მეურნეობის პრაქტიკოსებს. გარდა ამისა, სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის საფუძველზე მიღებულ შედეგებს ინსტიტუტი ოპერატიულად ნერგავს წარმოებაში. ინსტიტუტში დამზადებული პრეპარატი იგზავნება წარმოებაში, რომელსაც თან ახლავს გამოყენების მეთოდიკა. პრეპარატის გამოყენებისათვის ეწყობა ინდივიდუალური კონსულტაციები. იმართება ლექცია-მოხსენებები მეცნიერების უახლოეს მიღწევებზე. მაგალითად, დოცენტმა ვ. შამათავამ დმანისის, ახალქალაქის და აფხაზეთის მეცხოველეებისათვის წაიკითხა ლექციები.

ყოველი გამოკვლევა ან სამეცნიერო შრომა აუცილებლად პრაქტიკული მნიშვნელობის მატარებელი უნდა იყოს, ხელს უწყობდეს ინსტიტუტის საერთო გეგმის განხორციელებას, ეხმარებოდეს მეცხოველეობის მუშაკებს მათს წინაშე მდგომი ამოცანების გადაწყვეტაში. ამ მხრივ ინსტიტუტი ცუდად როდი მუშაობს. ყველა მუშაკის სადისერტაციო შრომა პრაქტიკული მნიშვნელობისაა. აქტუალურ თემებზე მუშაობენ მეცნიერი მუშაკები ვ. ჯეირანიშვილი, ა. კაჭახიძე, მ. მათეშვილი, ი. ჭუბაბრია, გ. ბედენაშვილი, ვ. ნანობაშვილი და სხვები. ამჟამად ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკთა ჯგუფი ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის კომუნისტ ს. ბერულავას ხელმძღვანელობით ამუშავებს მიკრობთა ცვალებადობისა და იმუნიტეტის პრობლემას.

ინსტიტუტის წინაშე დასმულია მრავალი აქტუალური პრობლემა. მათ გადასაწყვეტად საჭიროა ახალგაზრდა კადრების აღზრდა. კადრების აღსაზრდელად კი ინსტიტუტის დირექცია და პარტიული ორგანიზაცია ცუდად მუშაობენ. აქ მომუშავე მეცნიერი თანამშრომლებიდან მხოლოდ 10-ს აქვს სამეცნიერო ხარისხი. 6 წლის განმავლობაში მხოლოდ სამმა მეცნიერმა მუშაკმა აიმაღლა სამეცნიერო კვალიფიკაცია. ოთხი ლაბორატორიის ხელმძღვანელებს არა აქვთ მეცნიერული ხარისხი, რაც უარყოფით გავლენას ახდენს ლაბორატორიების მუშაობაზე. მთელი რიგი მუშაკები წლობით უსახედან სადისერტაციო შრომებს. მაგალითად, ბიოქიმიის ლაბორატორიის გამგე თ. კანდელაკმა დიდი ხანია დაამთავრა სადისერტაციო შრომის ექსპერიმენტული ნაწილი და ვერარ მოათავა დისერტაციის ლიტერატურული გაფორმება. საკუთარი სამეცნიერო ხარისხის ასამაღლებლად არაფერს აკეთებს ი. ფილიმონენკო.

პარტიული ორგანიზაცია სისტემატურად რომ ისმენდეს მეცნიერი მუშაკების მოხსენებებს მათი მუშაობის შესახებ, ღრმად სწვდებოდეს ცალკეულ თანამშრომელთა მუშაობის ნაკლოვან მხარეებს, კადრების აღზრდის საქმეში ასეთი ჩამორჩენა არ იქნებოდა. პარტბიურო სისტემატურად არ ამოწმებს მიღებულ დადგენილებათა შესრულებას, არ იხილავს წარმოებასთან კავშირის ცალკეულ საკითხებს. როგორც წესი, არ ეწყობა მეცნიერული ხასიათის დისკუსიები, ლექციათა ციკლები, ნაკლები ყურადღება ექცევა სოფლის მეურნეობის მუშაკებისათვის პოპულარული ბროშურების გამოცემას.

კადრების აღზრდა - დაწინაურებას ისიც უშლის ხელს, რომ ინსტიტუტს საექსპერიმენტო მუშაობის ბაზა არა აქვს, მოუგვარებელია ცხოველთა გეგმიურად შესყიდვისა და მოვლის საქმე. ეს კი ხელს უშლის ცდების გაბედულად ჩატარებას. ინსტიტუტს არ ჰყოფნის ოთახები ლაბორატორიებისათვის, მაშინ როცა 8 ოთახში კერძო პირები არიან ჩასახლებული. გარდა ამისა, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო ინსტიტუტის დირექციასთან შეუთანხმებლად სისტემატურად გზავნის აქაურ მეცნიერ-მუშაკებს ხანგრძლივ მივლინებაში ისეთ საკითხებზე, რომელთა მოგვარებას რიგითი სპეციალისტებიც აღვილად შეძლებენ.

თბილისის სამეცნიერო-საკვლევმა ვეტერინარულმა ინსტიტუტმა მეცხოველეობის განვითარების საქმეში გაწეული მუშაობის შედეგად ს

საკოლმეურნეო სახსრებს უთავბოლოდ ხარჯავენ

საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარების შესანიშნავი პირობებია სოფლებში მაკვანეთსა და ექადიიში (მახარაძის რაიონი). აქ საუკეთესოდ ხარობს ჩაი, ციტრუსები, ტუნგო, ვაზი, ხეხილი. დიდი შესაძლებლობაა მეცხოველეობის განვითარებისთვისაც. საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარებისათვის განსაკუთრებით კარგი პირობები შეიქმნა გასული წლის თებერვლიდან, როცა მაკვანეთელი და ექადიელი კოლმეურნეები ერთ კოლმეურნეობაში — სოფელ მაკვანეთის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში გაერთიანდნენ. მაგრამ გამსხვილებული კოლმეურნეობის უპირატესობა აქ სათანადოდ ვერ არის გამოყენებული. ეს იმით აიხსნება, რომ კოლმეურნეობის გამგეობა და უწინარეს ყოვლისა მისი თავმჯდომარე ამხ. მ. ნაკაიძე არღვევენ სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებას. მოუწესრიგებელი და არეულ-დარეულია მუშაობა ანგარიშწარმოებაში. ეს მკაფიოდ გამოვლინდა „კომუნისტის“ რედაქციაში მიღებული მამხილებელი წერილის ადგილზე შემოწმებით.

გამოირკვა, რომ გამსხვილებულ კოლმეურნეობაში ცუდი ხელმძღვანელობის შედეგად წლის მანძილზე ნაცვლად გადიდებისა ერთი მეხუთედით და მეტით არის შემცირებული შრომადღის ღირებულება. მაგალითად, ექადიის კოლმეურნეობაში იგი 1950 წელს 24 მანეთისა და 90 კაპიკს შეადგენდა, მაკვანეთისაში — 21 მანეთს. გამსხვილებულ კოლმეურნეობაშიც 1951 წლისათვის შრომადღეზე 21 მანეთის მიღება გაითვალისწინეს, მაგრამ საკოლმეურნეო თანხები ისე ხელგაშლილი და უანგარიშოდ ხარჯეს, რომ სინამდვილეში შრომადღეზე გასანაწილებელი პრემიის ჩაუთვლელად მხოლოდ 17 მანეთი და 90 კაპიკი დარჩათ. წესის მიხედვით კოლმეურნეებისათვის წლის მანძილზე ფულადი თანხები ავანსად 60 პროცენტი უნდა მიეცათ, ფაქტიურად აგვისტოში მდგომარეობის შეუსწავლელად თვითეული შრომადღის ანგარიშში 20 მანეთი გასცეს. ამის გამო კოლმეურნეობიდან ზედმეტად გატანილია 155.000 მანეთზე მეტი. ასეთივე მდგომარეობაა მარცვლეულის გაცემაში. ბევრ კოლმეურნეს წლის განმავლობაში ავანსად იმაზე ბევრად მეტი მისცეს, ვიდრე საბოლოოდ ერგებოდა, ზოგი კოლმეურნე კი სრულიად უპროდუქტოდ და უფულოდ დატოვეს. სულ კოლმეურნეობაში ავანსის სახით უკანონოდ გაცემულია 27.913 კილოგრამი სიმინდი, აქედან მარტო პირველი ბრიგადის წევრებს ზედმეტად მიღებული აქვთ რვა ტონამდე.

რამ გამოიწვია შრომადღის ანაზღაურების შემცირება, რით გამოიხატება ის დარღვევები და დამახინჯებანი, რაც აქ თითქმის ყველას თვალწინ ხდება, მაგრამ მათ ალსაკვეთად გადამჭრელი ზომები დღემდე არ მიუღიათ?

მაშინ, როცა წინა წლებში ექადიისა და მაკვანეთის კოლმეურნეობებში მშენებლობის დარგში ბევრი არაფერი გაკეთებულა, გამსხვილების შემდეგ ერთბაშად მოჰკიდეს ხელი 15-მდე ისეთ სამუშაოს, რაც მათ ძალღონეს აღემატება. ეს სამუშაოებია: ორსართულიანი ქვისა და აგურის შენობის აგება, მეორე ამბანოს მოწყობა, მეფრინველეობისა და მსხვილფეხა რქიანი საქონლის სადგომების გამართვა, მდინარე ოგიდაყვაზე რკინაბეტონის ხიდის გაკეთება, ანასეულზე საკოლმეურნეო სავაჭრო წერტილის აშენება და ბევრი სხვა, სულ 1.022.527 მანეთის სამუშაო. ამასთან კოლმეურნეობაში დაშვებულია ისეთი ხარჯები, რასაც აშკარა დანაშაულის სახე აქვს.

კოლმეურნეობის გამგეობას აქტებით კერძო პირებისაგან გადამყიდველების ვინაობის გაურკვევლად შეუძენია ავტომანქანების ნაწილები და საბურავები, რაშიაც გადახდილია 22.185 მანეთი. ასევე გვარის დაუსახელებლად გადამყიდველებისაგან საბჭოთა ვაჭრობის წესის დარღვევით შეძენილია 100 ცალი ბორდიურის მაკრატელი 6.800 მანეთად, 1.000 კილოგრამი მავთული — 11.000 მანეთად, 2.150 კილოგრამი რკინა—4.300 მანეთად, ჩაის საკრეფი კალათები—3.000 მანეთად და ბევრი სხვა.

კოლმეურნეობაში 1951 წელს ვინმე მოიჯარადრე რეზნიკოვის მუშვეობით შეძენილია 289 კუბმეტრი ხის მასალა, მასვე კოლმეურნეობიდან ხელფასის სახით მიღებული აქვს 5.000 მანეთი.

კოლმეურნეობაში საკმაოდ ჰყავთ მუშახელი. 28 შრომისუნარიანი კოლმეურნეს წლის მანძილზე შრომადღეების სავალდებულო მინიმუმიც არ გამოუმუშავებია, ამავე დროს კი კოლმეურნეობაში დაქირავებულ მუშახელზე 525.000 მანეთი გასცეს.

საკოლმეურნეო თანხების ხელგაშლილი ხარჯვას ისიც მოწმობს, რომ აქტის შეუდგენლად და გაუფორმებლად მარტო ავტომანქანების დატვირთვა-გადმოტვირთვაზე დახარჯულია 22.902 მანეთი. ფოტოალბომის გაკეთებისათვის, რაც არავითარ აუცილებლობას არ წარმოადგენს, კინოოპერატორ შიოშვილს მიღებული აქვს 16.000 მანეთი, ვიტრინის რემონტზე, რომლის მოწყობა ორიოდე წლის წინათ 17.000 მანეთი დაუჯდათ, ახლა 5.000 მანეთი დახარჯეს, თუმცა მას არავითარი შეკეთება არ ეტყობა.

ხელოვნურად გბმოგონილი და გაბერილი ხარჯების საილუსტრაციოდ მოვიყვანთ სხვა მაგალითებსაც. ავტომანქანის შეკეთებაზე კოლმეურნეობის სალაროდან „ხელფასად“ გაცემულია 7.569 მანეთი, ეს მაშინ, როცა ავტოინსპექციას მანქანის ვარგისიანობა არ შეუმოწმებია და მისი დასკვნა საქმეში არ არის.

კოლმეურნეობის გამგეობას 1951 წლის ხარჯთაღრიცხვით კულტფონდში გათვალისწინებული ჰქონდა 75.000 მანეთი, ფაქტიურად დახარჯულია 219.901 მანეთი, ე. ი. გადახარჯულია 144.901 მანეთი. აქედან მარტო მომღერალთა გუნდის ტანსაცმლის საფასურად გაღებულია 134.621 მანეთი.

კოლმეურნეობაში არასწორად იხარჯება განუყოფელი ფონდები. 1951 წლის აპრილში აქ ფიქტიური ანგარიში შეუდგინეს სოფელ მახარაძისა და ბოხვაურის კოლმეურნეობებს. ამ კოლმეურნეობებიდან თითქოს მათთვის მიყიდული პირუტყვის საფასურად მიიღეს 170.000 მანეთი განუყოფელი ფონდების ანგარიშიდან და ეს თანხა შრომადღეებზე გასცეს. ამასთან კოლმეურნეობის განუყოფელ ფონდებში ჩაწერილია ავტომანქანის საბურავების, სანერგეების და სხვა ისეთი ხარჯები, რაც ამ ფონდებს არ ეკუთვნის.

საკოლმეურნეო ფერმაში დაარღვიეს წველადობის აღრიცხვის წესი. ხბოების კვების ანგარიშშია შეტანილი და რძის მიღების უწყისის გარეშეა დაწერილი 25.700 ლიტრი რძე, რითაც ფიქტიურად გადიდებულია რძის შემოსავალი.

გარდა იმისა, რომ დაქირავებულ მუშახელზე აქ ასეულ ათასობით მანეთი დახარჯეს, დაუშვეს ასეთი არანორმალობაც: საკოლმეურნეო გზის მშენებლობაზე დაქირავებულ მუშახელზე ხელფასად გაცემულია 20.100 მანეთი. სამუშაო შესრულებული აქვს 12 კაცს, აღნიშნული თანხის მიღებაზე უწყისში კი მუშების მაგიერ ხელს აწერს ბრიგადირი ე. ონიანი. ასევე არასწორად ციტრუსების ნიადაგის მომზადებისათვის 10 კაცის კუთვნილი 24.191 მანეთი უწყისით მიღებული აქვს ბრიგადირ კ. ონიანს. თანხები უწესოდ მისცეს აგრეთვე ბრიგადირ გ. აბულაძეს და სხვ.

წესი დარღვეულია ფერმისათვის თივის შეძენაშიც. კერძო პირის ა. შაფაქიძის საშუალებით შეძენილია 50 ტონა თივა ისე, რომ კოლმეურნეობას ამაზე არავითარი ანგარიში არა აქვს.

კოლმეურნეობაში დაშვებულია უგულგმო მშენებლობა. მაგალითად, 1951 წელს ადმინისტრაციული სახლის მშენებლობისათვის გათვალისწინებული იყო 467.000 მანეთის დახარჯვა, მაგრამ ფაქტიურად დახარჯულია ამ თანხის დაახლოებით ერთი მესამედი, ამავე დროს ანგარიშებში ნაჩვენებია არა ადმინისტრაციული სახლის, არამედ კულტსახლის მშენებლობა.

კოლმეურნეობაში დაცული არ არის ადმინისტრაციულ პერსონალზე შრომადღეების ხარჯვის წესი. მარტო ერთი წლის მანძილზე გადახარჯულია 1.175 შრომადღე.

კოლმეურნეობის გამგეობა საჭირო ზომებს არ იღებს დებიტორული დავალიანების აღსაკვეთად. მარტო ანსეულის ინსტიტუტზე ირიცხება კოლმეურნეობის 18.000-მდე მანეთი, მოიჯარადრე ტაბიძეზე—9.240 მანეთი. დიდი თანხები ირიცხება აგრეთვე მთელ რიგ სხვა პირებზე და საწარმო-დაწესებულებებზე. სულ დავალიანება 100.000 მანეთს აჭარბებს.

ყველაფერი ეს იმის შედეგიც არის, რომ პარტიული ორგანიზაციის მდივანი ამხ. ე. თოიძე სუსტ კონტროლს უწევს კოლმეურნეობის გამგეობის საქმიანობას, არადამაკმაყოფილებლად იბრძვის საკოლმეურნეო წესდების გასუხრელად განხორციელებისათვის.

აქ მხოლოდ იმით დაკმაყოფილდნენ, რომ ბუხჰალტერი ვ. პაიჭაძე სამუშაოდან მოხსნეს. მაგრამ მარტო ეს საქმეს არ შველის.

მაკვანეთის კოლმეურნეობა რაიონულ ცენტრს სულ რაღაც სამი-ოთხი კილომეტრით არის დაშორებული. რაიონსაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილებამ შარშან მართალია შეამოწმა აღნიშნული კოლმეურნეობის სამეურნეო-საფინანსო მდგომარეობა, მაგრამ ეს შემოწმება ზერელე იყო და სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების ზემოაღნიშნული დამახინჯებანი არ გამოუვლინებიათ.

საქართველოს კ. პ. (ბ) მახარაძის რაიკომმა და რაისაბჭოს აღმასკომმა ქმედითი ზომები უნდა მიიღონ მაკვანეთის კოლმეურნეობაში მდგომარეობის გამოსასწორებლად და უზრუნველყონ საკოლმეურნეო წესდების დაცვა.

ტ. თოდრაძე

„კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტი

შაქრის ჭარხალი—კოლმეურნეთა შეძლებულობის წყარო

სტალინირი. (საკ. კორ.). გასულ სამეურნეო წელს თვალსაჩინო წარმატება მოიპოვეს სამხრეთ ოსეთის კოლმეურნეობათა მეჭარხლეებმა. ოლქმა სახელმწიფოს გეგმაზე ერთნახევარჯერ მეტი შაქრის ჭარხალი ჩააბარა. მთელმა რიგმა კოლმეურნეობებმა შაქრის ჭარხლის უხვი მოსავლის მოყვანით დიდი შემოსავალი მიიღეს. მაგალითად, სტალინირის რაიონის სოფელ ძარწემის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ, რომელმაც 21 ჰექტარი ურწყავი ფართობის თვითეულ ჰექტარზე გეგმის გადამეტებით 250 ცენტნერზე მეტი შაქრის ჭარხალი მოიყვანა, სახელმწიფოსაგან მიიღო 10 ტონით მეტი შაქარი და რამდენიმე ათასი მანეთი ფულად.

შაქრის ჭარხლის მოსავლიანობა მკვეთრად გაადიდეს სოფელ არგვიცის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში. მოწინავე მეჭარხლეებს შაქრის ჭარხლის უხვი მოსავლის მიღებისათვის მარტო პრემიის სახით მიეცათ 39.000-მდე მანეთი, 2 ტონა შაქარი და შრომადღეებიც მნიშვნელოვანი რაოდენობით დაერიცხათ.

შაქრის ჭარხლის უხვი მოსავლის მოყვანით დიდი შემოსავალი მიიღეს სტალინირის რაიონის ერედვის, ხეთაგუროვის, კულბითის, ლენინგორის რაიონის ორჭოსანის, აბრავის და მთელმა რიგმა სხვა კოლმეურნეობებმა.

შაქრის ჭარხლის მოსავლიანობის გადიდებაში კოლმეურნეობებს ნაყოფიერად ეხმარებოდნენ მექანიზატორები. ზნაურის მტს-ის კოლექტივმა გასულ წელს მისი მომსახურების კოლმეურნეობებში უზრუნველყო შაქრის ჭარხლის უხვი მოსავლის მიღება. ამ საქმეში დაწინაურებული ზნაურელი მექანიზატორები საქართველოს სსრ ტექნიკური კულტურების სამინისტრომ 6.300 მანეთით დააჯილდოვა.

ზუგდიდელები შეჯიბრებაში იწვევენ სამგრეხელოელებს

ამასწინათ მოეწყო ზუგდიდის რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა შეკრება. სოფლის მეურნეობის 1952 წლის მორიგი ამოცანების შესახებ მოხსენებით გამოვიდა საქართველოს კ. პ. (ბ) ზუგდიდის რაიკომის მდივანი ამხ. მ. კუპავა.

სიტყვით გამოსულმა სოციალისტური შრომის გმირმა, სოფელ ჭალვინჯის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ კ. შეროზიამ ილაპარაკა მოწინავე მეჩაიეების ე. და მ. ჯიქიების, ქ. ღურწკაიას, მერგოლურ მ. ხუბულავას წარმატებებზე; წელს კოლმეურნეობაში ჩაის სამუშაოები წარმატებით მიმდინარეობს. მან კოლმეურნეთა სახელით იკისრა წელს გეგმის გადამეტებით მისცენ ქვეყანას 150.000 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი, სიმინდის მოსავლიანობა აიყვანონ ჰექტარზე 30 ცენტნერამდე, გაორკეცონ ყურძნის მოსავლიანობა.

ორგზის სოციალისტური შრომის გმირმა, ახალსოფლის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის პირველი ბრიგადის ხელმძღვანელმა თამარ ყუფუნიამ თქვა:

— წელს 12 ჰექტარი პლანტაციის თვითეულ ჰექტარზე 11.000 კილოგრამი ჩაის მიღება გვაქვს გათვალისწინებული. პირობას ვდებ, რომ თვითეულ ჰექტარზე მოვიყვანოთ 11.500 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. სერიოზულ ღონისძიებებს ვახორციელებთ იმისათვის, რომ სიმინდის მოსავლიანობა ჰექტარზე ავიყვანოთ 50 ცენტნერამდე. საუკეთესოდ გვაქვს მოვლილი ციტრუსები, ტუნგო, ვენახი.

სოფელ რუხის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის პარტბიუროს მდივანმა ბ. თოდუამ შეკრების მონაწილეებს მოუთხრო ჩაისა და სიმინდის მოსავლიანობის და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გასაადიდებლად გაწეულ მუშაობაზე. მან კოლმეურნეობის სახელით სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია სოფელ კახათის მარქსის სახელობის კოლმეურნეობა.

გადიდებული ვალდებულებები იკისრეს კორცხელის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა ციალა ლალიძემ, ბერიას სახელობის ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირმა, სოციალისტური შრომის გმირმა ნადეჟდა იურჩენკომ, ახალსოფლის კოლმეურნეობა „კოლხიდის“ ბრიგადირმა ლავრენტი ჯოჯუამ, კოკის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის სიმინდის უხვი მოსავლის ოსტატმა იპოლიტე გულორდავამ და სხვებმა.

კამათში აგრეთვე მონაწილეობა მიიღეს რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ, ორგზის სოციალისტური შრომის გმირმა ა. როგავამ, ბერიას სახელობის ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მთავარმა აგრონომმა, სოციალისტური შრომის გმირმა შ. ხარებავამ, რაიაბრეშუმის მთავარმა აგრონომმა შ. ჭანტურიამ და სხვებმა.

სოფლის მეურნეობის მოწინავეთა რაიონულმა შეკრებამ იკისრა გეგმით გათვალისწინებული 11.498 ათასი კილოგრამის ნაცვლად სახელმწიფოს მისცენ 15.000 ათასი კილოგრამი ჩაი, თვითეულ ჰექტარზე მიიღონ 30 ცენტნერი მარცვლეული, საგრძნობლად გაადიდონ ვაზის, ტუნგოს, დაფნის და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა, გაზარდონ მეცხოველეობის პროდუქტიულობა.

შეკრებამ მიიღო მიმართვა რაიონის სოფლის მეურნეობის მუშაკებისადმი და სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია სამტრედიის რაიონი.

ვ. მესხია

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

ჩვენ გვწერენ

ელექტროსადგურის ამუშავება ფერხდება

„საქსოფლელექტროს“ ტრესტის თბილისის კანტორამ (დირექტორი ა. გოთუა) 1950 წლის ბოლოს გარდაბნის რაიონში დაამთავრა 5 გამსხვილებული კოლმეურნეობის მომსახურებისათვის გათვალისწინებული 350 ცხენისძალიანი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა.

ჰიდროელსადგურის ამუშავებისას ელსადგურს მთელი რიგი დეფექტები აღმოაჩნდა. ამ დეფექტების გამოსასწორებლად მშენებლებს სასწრაფო ზომების მიღება დაევალათ.

1951 წლის აპრილში სახელმწიფო კომისიამ კვლავ შეამოწმა ელსადგური და კარგი შეფასება მისცა მას. მაგრამ სადგურის საექსპლოატაციოდ გადაცემის პირველსავე დღეს ზოგიერთმა დეფექტმა კვლავ იჩინა თავი. ამას გარდა „საქსოფლელექტროს“ ტრესტის თბილისის კანტორამ დროზე ვერ დაამთავრა ყველა გადამცემი ხაზისა და კოლმეურნეთა ბინებში ელექტროქსელს გაყვანის სამუშაოები. ამას ისიც დაემატა, რომ საჭირო შეიქმნა უკვე დამთავრებული ერთი გადამცემი ხაზის სხვა მიმართულებით გადატანა.

რაიონის ხელმძღვანელობამ არაერთგზის სთხოვა „საქსოფლელექტროს“ ტრესტის თბილისის კანტორას დარჩენილ სამუშაოთა შესასრულებლად გარდაბანში მიეკლინებინა სპეციალისტთა ბრიგადები და უზრუნველეყო ჰიდროელსადგურის ამუშავება. მაგრამ ამ მოთხოვნის შესრულება რატომღაც ჭიანურდება.

გ. გელაშვილი

უპატრონო კინოთეატრი

ბათუმში კინოთეატრები და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები ძირითადად ქალაქის ცენტრშია მოთავსებული. ეს მდგომარეობა დიდ უხერხულობას უქმნის მოსახლეობას.

განსაკუთრებით მოწყვეტილია ქალაქს ბათუმის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე მუშათა უბანი. აქ ათასობით მუშა-მოსამსახურე ცხოვრობს. მათი კინომომსახურებისათვის კარგახანია გაიხსნა კინოთეატრი „დამკვრელი“, მაგრამ კინოთეატრის შენობას მხოლოდ სახელი შერჩა. მისი შეკეთებისა და კეთილმოწყობისათვის არავინ ზრუნავს. შენობა ძველი და ნახევრად დანგრეულია, ფანჯრები ჩამტვრეულია. შესასვლელ კართან არავითარი ფარდული არ მოიპოვება, და სეანსის დაწყების მოლოდინში ხალხი საათობით ცის ქვეშ არის. ქუჩიდან კინოთეატრის კარამდე დიდი ტალახი დგას. კართან გაკეთებულია ორმეტრიანი ღია აივანი საღაროსთან მისასვლელად. ეს აივანი სიდამპლის გამო ამას წინათ ჩაინგრა.

კინოთეატრის შეკეთებისა და კეთილმოწყობისათვის სასწრაფო ზომები უნდა იქნას მიღებული.

ა. აროგელიძე

უყურადღებოდ მიგოვებული აბანო

თბილისის გარეუბნის რაიონის სოფელ დიდ ლილოში ერთ დროს მუშაობდა კეთილმოწყობილი აბანო, რომელიც ამჟამად უყურადღებობის გამო უმოქმედოდ არის. შენობა კარგია, აბანოს აქვს ორი განყოფილება, წყლის ქვაბი ხარისხიანია, შინაგანი მოწყობილობაც მოიპოვება. დაზიანებულია მხოლოდ წყლის მიმწოდებელი მილები. ამის გამო სოფლის მოსახლეობა მოკლებულია აბანოს.

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კომუნალური მეურნეობის განყოფილებამ და აბანო-სააპარიკმახეროების ტრესტმა ადგილობრივ ორგანიზაციებთან ერთად უნდა იზრუნონ სოფელ დიდი ლილოს აბანოს აღსადგენად.

ვ. გოლაძე

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„მკაცრი პასუხი ვაგებინოთ სახელმწიფო ქონების გამნიავებლებს“

ამ სათაურით გაზეთ „კომუნისტის“ მიმდინარე წლის 15 თებერვლის ნომერში გამოქვეყნებული იყო კორესპონდენცია, რომელიც ეხებოდა ტყიბულის მაღაროების პოლიკლინიკის ყოფილი დირექტორის ვ. გოგოძის და მთავარი ბუხჰალტრის ა. რიეამაძის მიერ პოლიკლინიკის ქონების განიავებას.

საქართველოს კ. პ. (ბ) ტყიბულის რაიკომის მდივანი ამხ. პ. ბაქრაძე გვატყობინებს, რომ კორესპონდენციაში აღნიშნული ფაქტები შემოწმებით დადასტურდა. პოლიკლინიკის ყოფილ დირექტორს ვ. გოგოძეს პოლიკლინიკის ქონების თვითნებურად განათხოვრებისათვის რაიკომის ბიურომ გამოუცხადა საყვედური საარრიცხვო ბარათში შეტანით, ხოლო მთავარი ბუხჰალტერი ა. რიეამაძე განთავისუფლებულია სამუშაოდან.

სოციალიზმის ეკონომიკის ნარკვევები ახალი დადასტურება

უცხოეთის გამოხმაურება სსრ კავშირში ფასების ახალ შემცირებაზე

პოლონეთი

ვარშავა, 1 აპრილი. (საკდესი). ყველა პოლონურმა ცენტრალურმა გაზეთმა პირველ გვერდზე გამოაქვეყნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „სასურსათო საქონლის სახელმწიფო საცალო ფასების ახალი შემცირების შესახებ“.

გაზეთები „ეიცე ვარშავი“, „ვოლია ლუდუ“, „ეუონლეე ვოლნოსტი“ და სხვები სათაურებში ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ სსრ კავშირში სახელმწიფო საცალო ფასების ახალი—სათვალავით მეხუთე—შემცირება იმ წარმატებათა შედეგია, რომლებიც მიღწეულია მრეწველობისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების დარგში, საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის შედეგი.

ჩეხოსლოვაკია

პრაღა, 1 აპრილი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის გაზეთებმა თვალსაჩინო ადგილზე გამოაქვეყნეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „სასურსათო საქონლის სახელმწიფო საცალო ფასების ახალი შემცირების შესახებ“. გაზეთმა „რუდე პრავომ“ დადგენილება მოათავსა დიდი სათაურით: „ფასების შემდგომი შემცირება საბჭოთა კავშირში. სურსათის ფასი შემცირებულია საშუალოდ 15-20 პროცენტით“.

უნგრეთი

ბუდაპეშტი, 1 აპრილი. (საკდესი). დღეს ყველა გაზეთმა თვალსაჩინო ადგილზე გამოაქვეყნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „სასურსათო საქონლის სახელმწიფო საცალო ფასების ახალი შემცირების შესახებ“.

ბულგარეთი

სოფია, 1 აპრილი. (საკდესი). ბულგარულმა გაზეთებმა პირველ გვერდზე დიდი სათაურებით გამოაქვეყნეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „სასურსათო საქონლის სახელმწიფო საცალო ფასების ახალი შემცირების შესახებ“. ყველა გაზეთი სასურსათო საქონლის სახელმწიფო საცალო ფასების შემცირებას აფასებს როგორც საბჭოთა სოციალისტური წყობილების ახალ შესანიშნავ გამარჯვებას.

გუშინ და დღეს სოფიის რადიომ მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას სპეციალური გადაცემები მიუძღვნა.

რუმინეთი

ბუქარესტი, 1 აპრილი. (საკდესი). დღეს ბუქარესტის ყველა გაზეთმა პირველ გვერდზე დიდი სათაურებით დაბეჭდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „სასურსათო საქონლის სახელმწიფო საცალო ფასების ახალი შემცირების შესახებ“. გაზეთმა „სკანტეიამ“ დადგენილება გამოაქვეყნა დიდი სათაურით: „სსრ კავშირში სასურსათო საქონლის ფასების მეხუთე შემცირება“. გაზეთი „რომინია ლიბერა“ აძლევდა სათაურს „საბჭოთა ეკონომიკის ახალი წარმატება“.

ბუქარესტის რადიომ გუშინ და დღეს რამდენჯერმე გადასცა დადგენილების სრული ტექსტი.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა

ბერლინი, 1 აპრილი. (საკდესი). ბერლინის დემოკრატიულმა პრესამ დღეს პირველ გვერდზე გამოაქვეყნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „სასურსათო საქონლის სახელმწიფო საცალო ფასების ახალი შემცირების შესახებ“.

გაზეთმა „ნოიეს დოიჩლანდმა“ მოათავსა მოსკოვიდან მიღებული ცნობა სათაურით: „ფასების მეხუთე დიდი შემცირება საბჭოთა კავშირში. საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი შრომის დამაჯერებელი წარმატება“.

ალბანეთი

ტირანა, 1 აპრილი. (საკდესი). ალბანელმა მშრომელებმა სიხარულით შეიტყეს სსრ კავშირში მასობრივი მოხმარების სასურსათო საქონლის ფასების ახალი შემცირების ამბავი. ცნობა გადასცა ტირანის რადიომ. რადიო თავის კომენტარებში სსრ კავშირში ფასების ახალ, სათვალავით მეხუთე, შემცირებას ახასიათებს როგორც საბჭოთა კავშირის სამშვიდობო სტალინური პოლიტიკის პირდაპირ შედეგს, როგორც კაპიტალისტური სისტემის წინაშე სოციალისტური სისტემის უპირატესობის დამამტკიცებელ საბუთს, როგორც 1951 წელს სახალხოსამეურნეო გეგმის წარმატებით შესრულებისა და სსრ კავშირში კომუნისტური მშენებლობის მიღწევების შედეგს.

ინგლისი

ლონდონი, 1 აპრილი. (საკდესი). გაზეთი „დეილი უორკერი“ თვალსაჩინო ადგილზე ბეჭდავს ცნობას საბჭოთა კავშირში მასობრივი მოხმარების საქონლის ფასების ახალი შემცირების შესახებ და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეს „გამოიწვევს საბჭოთა ხალხის ცხოვრების დონის ახალ ამაღლებას“.

ბურჟუაზიული გაზეთები ცდილობენ დააკნინონ საბჭოთა კავშირში ფასების ახალი შემცირების მნიშვნელობა. გაზეთები „დეილი გრეფიკი“, „დეილი მირორი“ და „დეილი ექსპრესი“ სრული დუმილით უვლიან გვერდს ცნობას ფასების შემცირების შესახებ, ხოლო სხვა გაზეთები შეუმჩნეველად ადგილზე ათავსებენ მას.

საფრანგეთი

პარიზი, 1 აპრილი. (საკდესი). მთელი რიგი დღევანდელი გაზეთები ეუწყებიან სსრ კავშირში სასურსათო საქონლის ფასების ახალ შემცირებას. გაზეთი „ლუმანიტე“ აქვეყნებს თავისი მოსკოველი კორესპონდენტის ინფორმაციას, რომელშიც ხაზგასმულია, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში, ინგლისში, საფრანგეთსა და სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში ფასების განუწყვეტელი გადიდების ფონზე, რაც გამოწვეულია ომის პოლიტიკურით, სსრ კავშირში ფასების ახალ შემცირებას დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს.

ღი დე-ციუანის განცხადება ამერიკელთა მიერ კორეაში ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენების შესახებ

ჟენევა, 1 აპრილი. (საკდესი). სინხუას საგაზეთოს კორესპონდენტის 31 მარტის ცნობაში, რომელიც გადმოცემულია კორეის ფრონტიდან ნათქვამია:

ამერიკელთა მიერ დანაშაულებრივი ბაქტერიოლოგიური ომის წარმოების ფაქტების გამომკვლევი კომისიის თავმჯდომარემ ლი დე-ციუანმა გააკეთა განცხადება გამოკვლევის შესახებ, რომელიც კომისიამ მოახდინა. განცხადებაში ნათქვამია:

კორეაში ჩასვლისას 20 მარტს კომისიის წევრები ჯგუფებად გაიყვნენ და მოახდინეს ამერიკელთა მიერ ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენების ფაქტების გამოკვლევა — როგორც ფრონტზე, ისე ზურგში. ამ გამოკვლევის მსვლელობაში ჩვენ შევისწავლეთ მრავალი დამამტკიცებელი საბუთი, რომლებიც ეხება ამერიკელი აგრესორების მიერ ბაქტერიოლოგიური ომის ფართო მასშტაბით წარმოებას; მოვისმინეთ სხვადასხვა რაიონის ეპიდემიის საწინააღმდეგო რაზმების მუშაკთა მოხსენებანი იმ ბაქტერიების შესწავლის შესახებ, რომლებსაც ავრცელებენ ამერიკელი აგრესორები, და ვეწვიეთ მცხოვრებლებსა და სამხედრო მოსამსახურეებს იმ რაიონებში, სადაც გავრცელებულ იქნა ბაქტერიები.

ჩვენ მიერ შეგროვებული დამამტკიცებელი საბუთების საფუძველზე ზუსტად გამოირკვა, რომ ამერიკელი აგრესორები შეუდგნენ და ეწევიან უსმობელ ბაქტერიოლოგიურ ომს კორეაში, მიუხედავად მათი თავხედური ცდებისა—უარყონ პასუხისმგებლობა თავიანთი დანაშაულისათვის. ჩვენ მიერ მიღებული დამამტკიცებელი საბუთები იმას მოწმობენ, რომ ამერიკელი აგრესორები ფართო მასშტაბით ავრცელებენ ჩრდილოეთ კორეაში სხვადასხვა დასნებოვნებულ მწერებსა და ბაქტერიებით დასნებოვნებულ საგნებს. ბაქტერიები გავრცელდა 27 მაზრაში, ჩხოლვონის, იჩხონის, კიმხვის, იანდოკის, კანდონის, იაიჩონისა და იიჯუს მაზრების ჩათვლით. ჩამოყრილ იქნა ბაქტერიებით დასნებოვნებული ბუზები, რწყილები, მოსკიტები, ვირთაგვები და მკვდარი თევზი. გარდა ამისა, ჩამოყრილი იქნა სხვადასხვაგვარი დასნებოვნებული საგნები, მათ შორის ნამცხვარი, ბამბა, ღორის ხორცი, დაკონსერვებული პროდუქტები, სიგარეტები და ფურცლები.

28 იანვრიდან 15 მარტამდე ბაქტერიები გავრცელდა 226-ზე მეტ შემთხვევაში. ბაქტერიების გავრცელება ხდებოდა უმთავრესად თვითმფრინავებიდან ბნელ ღამეებში, ნისლის დროს და ავდარში მოფრქვევით ან ბაქტერიოლოგიური ბომბების ჩამოყრის შედეგად. ბაქტერიების გასავრცელებლად ხმარებულ საშუალებათა შორის არის ქიმიური ნივთიერებისა და მსუბუქი ლითონისაგან გაკეთებული კონტეინერები (სათავსი, ტარა.—**რედ.**), ამერიკელ აგრესორებს აგრეთვე არაერთხელ გამოუყენებიათ ფრონტზე სხვადასხვა ტიპის ბაქტერიოლოგიური და ქიმიური ბომბები. ბაქტერიები, რომლებსაც ამერიკელი აგრესორები ავრცელებენ, წინასწარ ხელოვნურად გამრავლებულია მათ მიერ და უკიდურეს საშიშროებას წარმოადგენენ. ამერიკელები ავრცელებდნენ არა მარტო ბაქტერიებით დასნებოვნებულ მწერებს, სხვადასხვა სახის დასნებოვნებულ სურსათს ან სხვა დასნებოვნებულ საგნებს, არამედ ხელოვნურად მოშენებულ სიცივის გამძლე სხვადასხვა მწერებსაც.

ამერიკელი აგრესორები, რომლებიც ამ დანაშაულებრივ საშუალებებს იყენებენ, მიზნად ისახავენ კორეის მოსახლეობისა და ჩინეთისა და კორეის სახალხო ჯარების სამხედრო მოსამსახურეთა მასობრივ ეპიდემიას. ისინი ცდილობენ მიაღწიონ თავიანთ აგრესიულ მიზნებს, რომლებსაც მათ ვერ მიაღწიეს ვერც დაზავების შესახებ მოლაპარაკების დროს კონფერენციის მაგიდაზე და ვერც კორეის ფრონტზე.

იმის შიშით, რომ დანაშაულებრივი ბაქტერიოლოგიური ომის მათ მიერ წარმოების ფაქტები შეიძლება ცნობილი გახდეს მთელი მსოფლიოსათვის, ამერიკელი აგრესორები ცდილობენ დაფარონ თავიანთი დანაშაულის კვალი. მაგ

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიუროს სესია

ოსლო, 1 აპრილი. (საკდესი). დღეს გაიმართა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიუროს სესიის უკანასკნელი სხდომა. სხდომაზე გამოვიდნენ გორდონ შაფერი (ინგლისი), ფენოალტეა (იტალია), მშვიდობისათვის გერმანელ მებრძოლთა კომიტეტის წარმომადგენელი ვილმანი და სხვები.

სესიის მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს შემდეგი გადაწყვეტილებანი:

მიმართვა მთელი მსოფლიოს კაცებისა და ქალებისადმი სათაურით — „ბაქტერიოლოგიური ომის წინააღმდეგ", საერთო რეზოლუცია მშვიდობისათვის მოძრაობის მორიგ ამოცანებზე, რეკომენდაცია მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სამდივნოსადმი მსოფლიოს ხალხთა შორის კულტურული ურთიერთობის განვითარების საკითხებზე.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიუროს მორიგი სესიის მუშაობა დამთავრებულად გამოცხადდა.

„ბაქტერიოლოგიური ომის წინააღმდეგ"

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიუროს მოწოდება

ოსლო, 1 აპრილი. (საკდესი). მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიურომ, რომლის სესია მიმდინარეობდა ოსლოში 1952 წლის 29 მარტიდან 1 აპრილამდე, გამოაქვეყნა შემდეგი მოწოდება „ბაქტერიოლოგიური ომის წინააღმდეგ":

ჩვენ გულდასმით განვიხილეთ დოკუმენტები, რომლებიც ეხება ამჟამად ჩინეთსა და კორეაში წარმოებულ ბაქტერიოლოგიურ ომს.

ამ დოკუმენტების შესწავლამ დიდად აგვიღელვა და შეგვაძრწუნა, ბაქტერიოლოგიური ომი არა მარტო საზიზღარი დანაშაულია, რომელიც უნდა აღიკვეთოს; იგი საფრთხეს უქმნის მთელ კაცობრიობას. ჩვენ მივმართავთ ყველა ქალისა და კაცის სინდისს და მოვუწოდებთ მათ მოითხოვონ ბაქტერიოლოგიური ომის შეწყვეტა და ბაქტერიოლოგიური იარაღის აკრძალვა.

უწინარეს ყოვლისა მივმართავთ ამერიკის შეერთებული შტატების ქალებსა და კაცებს, რადგან თვითეული მათგანის წინაშე დასმულია პატიოსნებისა და ღირსების საკითხი. ის ფაქტი, რომ კორეაში ომი წარმოებს გაერთიანებული ერების სახელით, განსაკუთრებით სერიოზული გარემოებაა; მისთვის პასუხისმგებლობას ჩვენ ვაკისრებთ იმ მთავრობებს, რომლებმაც მოიწონეს გაერთიანებული ერების ჩარევა და, მაშასადამე, მორალურად და პოლიტიკურად პასუხისმგებელი არიან ომის წარმოების გამოყენებული მეთოდებისათვის.

რაც შეგვეხება ჩვენ, ორმაგი მოვალეობა გვაკისრია: უწინარეს ყოვლისა ინფორმაცია მივაწოდოთ საზოგადოებრივ აზრს და გავაცნოთ სიმართლე ყოველ ადამიანს, რათა ყველას ჰქონდეს წარმოდგენა იმ საზიზღარ ფაქტებზე, რომლებსაც ჩვენ გავეცნოთ. ჩვენ გადავწყვიტეთ გამოვაქვეყნოთ ჩვენს განკარგულებაში არსებული დოკუმენტები. საჭიროა, რომ დანაშაულებრივი მოქმედება სრულად იქნას გაშუქებული. იმისათვის, რომ იგი დღის სინათლეზე გამოვიტანოთ, ჩინეთის მშვიდობის დაცვის სახალხო კომიტეტმა წარმოადგინა წინადადება შეიქმნას საერთაშორისო კომისია, რომელიც შეძლებდა ყველა ფაქტის შეგროვებას. ამ კომისიის კომპეტენტურობა და მიუკერძოებლობა უცილობელი უნდა იყოს. მისი შექმნის მიზნით ჩვენ მივმართავთ სამეცნიერო, ლიტერატურული და რელიგიური წრეების უმაღლეს წარმომადგენლებს. დარწმუნებული ვართ, რომ საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრი მხარს დაუჭერს კომისიის ღონისძიებებს.

ჩვენი მეორე მოვალეობაა დავიცვათ ყველა ხალხი ბაქტერიოლოგიური ომისაგან.

ჩვენ აღვნიშნავთ, რომ მხოლოდ ამერიკის შეერთებულ შტატებს — ერთადერთ სახელმწიფოს დიდ სახელმწიფოთაგან—არ დაუმტკიცებიათ 1925 წლის 17 ივნისის საერთაშორისო კონვენცია, რომელიც კრძალავს მახრჩობელა გაზებისა და ბაქტერიოლოგიურ საშუალებათა გამოყენებას.

ჩვენ მოვითხოვთ, რომ მსოფლიოს ყველა ხალხმა ზეგავლენა მოახდინოს თავის მთავრობებზე და მიაღწიოს იმას, რომ ამ კონვენციის ხელი მოაწერონ, დაამტკიცოს და დაიცვას უკლებლივ ყველა სახელმწიფომ.

ასევე მოვითხოვთ მიღებულ იქნას ენერგიული ღონისძიებანი, რათა ის პირები, ვისაც დანაშაული მიუძღვის ყველაზე საზიზღარი და ყველაზე საზარელი იარაღის გამოყენებაში, მიცემულ იქნან სასამართლო პასუხისგებაში, როგორც საშხედრო დანაშაულნი.

დარწმუნებული ვართ, რომ, მოვითხოვთ რა უდანაშაულოთა დაცვას და დამნაშავეთა დასჯას, ჩვენ გამოვხატავთ ადამიანთა დიდი უმრავლესობის აზრს. მათი სახელით ჩვენ ვიცავთ ყველაზე კეთილშობილურ საქმეს—ყველა ბავშვის სიცოცხლის უფლებას, ადამიანის პიროვნების პატივისცემას. თუ ხალხები დაუყოვნებლივ არ იმოქმედებენ, რათა ბოლო მოუღონ ბაქტერიოლოგიურ ომს, მაშინ დამანგრეველი ძალების სისასტიკეს და გაფფთრებას საზღვარი არ ექნება. ჩვენ მოვუწოდებთ კაცობრიობას დაიცვას თავი.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს თავმჯდომარე—ფრედერიკ ჟოლიო-კიური.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ვიცე-თავმჯდომარეები: გაბრიელ დ'არბუსიე, ალექსანდრე ფადეევი, გო მო-ჟო, ეფენი კოტონი, პროფესორი ბერნალი, პროფესორი ლეოპოლდ ინფილდი, არტურ ლუნდკვისტი.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიუროს წევრები: ჯესი სტრიტი, პიერ კოტი, ილია ერენბურგი, პროფესორი გრომადკა, ლომმარდი, ლუი საიანი, ლორან კაზანოვა, მაო დუნი, ივ ფარეი, ალექსანდრე კორნეიჩუკი, ია მუკარჟოვსკი.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს გენერალური მდივანი ჟან ლაფიტი.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მდივნები: იზაბელა ბლუმი, ჟილბერ დე შამბრენი, ჯორჯიო ფენოალტეა, ბ. გულიაევი, ჯონ დარი, უ. რ. ტ. გორი, ემი ს

აო, მონტეგიუ.

სესიის მოწვეული მონაწილენი: ვილმანი (მშვიდობისათვის ბრძოლის გერმანელთა კომიტეტის თავმჯდომარე), ჟაკ დენი (დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაცია), ლი ვი ენი (კორეა), ქ-ნი კირსტენ ჰანსტენი (ნორვეგია), გორდონ შაფერი (ინგლისი).

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიუროს სესია ოსლოში

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიუროს საერთო რეზოლუცია

ოსლო, 1 აპრილი. (საკდესი). მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიუროს, რომელსაც სხდომები ჰქონდა ოსლოში 29 მარტიდან 1 აპრილამდე, მიიღო შემდეგი შინაარსის საერთო რეზოლუცია:

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიურო აღნიშნავს, რომ ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის მშვიდობის პაქტის დადების შესახებ მიმართვაზე ხელმოწერთა რიცხვმა დღეისათვის მიაღწია 603.570.000-ს. ამ შედეგს, რომელიც 122 მილიონით აღემატება სტოკჰოლმის მოწოდებაზე შეგროვებული ხელმოწერის რიცხვს, უნდა დაემატოს ის ფაქტი, რომ საზოგადოებრივი აზრი სულ უფრო მტკიცედ მოითხოვს, რომ მოლაპარაკების საშუალებით მიღებულ იქნას სამშვიდობო გადაწყვეტილებანი.

ეს წარმატებანი ხაზგასმით აღნიშნავენ მთელ მსოფლიოში მშვიდობის დაცვისათვის მოძრაობის მზარდ გავლენას და გამოხატავენ ხალხთა უღრმეს მისწრაფებებს. მშვიდობის პაქტის დადებისათვის კამპანია უნდა გაძლიერდეს. ამ კამპანიის გაშლას შეუძლია ჩაშალოს გამაღებული შეიარაღება, რომელიც ფიტავს ხალხთა ძალებს, ძირს უთხრის მათს ეკონომიკას და საფრთხეში აგდებს მათს დამოუკიდებლობას.

ამ უკანასკნელი თვეების მანძილზე მდგომარეობა გაუარესდა. აზიაში გამოყენებულ იქნა ბაქტერიოლოგიური იარაღი. გერმანელი და იაპონელი ხალხების უმრავლესობის ნების წინააღმდეგ იაპონიის შეიარაღება მომზდარი ფაქტია და დაიწყო დასავლეთ გერმანიის შეიარაღება. კოლონიურ ხალხთა მისწრაფება დამოუკიდებლობისადმი სასტიკ რეპრესიებს აწყდება.

ამ პირობებში მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიერ ვენაში შემუშავებული წინადადებანი ახლა უფრო საჭირო საფუძველია მშვიდობის დამყარებისათვის, ვიდრე ოდესმე ყოფილა. ეს წინადადებანი ითვალისწინებენ ახლანდელი ომების შეწყვეტას, გერმანიის დემილიტარიზაციასა და გაერთიანებას, იაპონიის დემილიტარიზაციას, ამ ორი სახელმწიფოს დამოუკიდებლობის აღდგენას, რაც გარანტირებული უნდა იყოს საზავო ხელშეკრულებებით, აზიის, ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებიდან უცხო სახელმწიფოთა ჯარების გაყვანას.

მშვიდობის ძალებმა თავიანთი მტკიცე მოქმედებით უზრუნველყვეს, ის, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განხილა საყოველთაო განიარაღების საკითხი. ეს განხილვა გრძელდება. განიარაღების კომისიას სხდომება აქვს ამჟამად ნიუ-იორკში. ხალხთა მოქმედებამ საკალდებულო უნდა გახადოს მასობრივი ძალების იარაღის აკრძალვა, აგრეთვე თანდათანობითი განიარაღება, რომელიც ერთსა და იმავე დროს უნდა მოხდეს და რომელსაც სასტიკი კონტროლი უნდა ეწეოდეს. ხალხებმა, რომლებიც სულ უფრო მეტად განიცდიან ომისა და სიღატაკის პოლიტიკის შედეგებს, თავიანთი ძალაც შეიგნეს. თუ ისინი გაბედულად იმოქმედებენ, მათ შეუძლიათ შეცვალონ მოვლენათა მსვლელობა და მიაღწონ მშვიდობის პაქტის დადებას, რაც უზრუნველყოფს სხვადასხვა პოლიტიკური და სოციალური სისტემის მშვიდობიან თანაარსებობას.

ყველა ხალხისა და მშვიდობისმოყვარე ძალების უფრო ფართოდ გაერთიანებისათვის ბიუროს გადაწყვეტა მოიწვიოს 21 ივნისს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სესია, რომელზეც იგი შეიტანს წინადადებას — მოწვეულ იქნას წელს მშვიდობის დაცვის დიდი კონგრესი.

ფასების ზრდა შვეიცარიაში

სტოკჰოლმი, 1 აპრილი. (საკდესი). შვეიცარიაში გრძელდება ფასების ზრდა. 31 მარტიდან ქვლავ მოიმატა პურისა და საკონდიტრო ნაწარმის ფასმა.

დღეიდან გაძვირდა რკინიგზით მგზავრობა. ბილეთის ფასი გაადიდეს 9 პროცენტით, საქონლის ტარიფები — 10-20 პროცენტით. გადიდებულია აგრეთვე ტელეფონით ლაპარაკისა და ტელეგრაფის ტარიფები.

სახელმწიფო საბინაო საბჭომ გუშინ გადაწყვეტილება მიიღო უფლება მიეცეს სახლთმფლობელებს განახორციელონ ბინის ქირის საერთო მომატება 1942-47 წლებში აკრძალულ სახლებში. ამ სახლებში ბინის ქირა 2-5 პროცენტით გადიდდება.

კორეის ამბები

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 1 აპრილი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ 1 აპრილს გამოაქვეყნა ცნობა, რომ ფრონტებზე განსაკუთრებული ცვლილება არ მომხდარა, იყო საარტილერიო სროლა და მზვერავი რაზმების შეტაკებანი.

დღეს სახალხო არმიის ავიაციამ და „ზენიტო არტილერიამ ჩამოაგდეს მოწინააღმდეგის 4 თვითმფრინავი, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ზერგის რაიონებზე თავდასხმებში.

სახელმწიფო დეპარტამენტმა ამერიკელ ხალხს დაუმალა ჭექსჩი საბჭოთა ნოტისა გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების შესახებ

ნიუ-იორკი, 31 მარტი. (საკდესი). ამერიკის ზოგიერთი გაზეთი უკმაყოფილებას გამოთქვამს იმ ფაქტის გამო, რომ სახელმწიფო დეპარტამენტი შეეცადა ამერიკის საზოგადოებრიობისათვის დაემალა შინაარსი საბჭოთა მთავრობის ამა წლის 10 მარტის ნოტისა, ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებისადმი გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების შესახებ. გაზეთები აღნიშნავენ, რომ დღემდე სახელმწიფო დეპარტამენტი ნებას არ იძლევა ამერიკის პრესაში გამოაქვეყნონ საბჭოთა ნოტის სრული ტექსტი.

გაზეთმა „ჩიკაგო დეილი ნიუსმა" ამასთან დაკავშირებით დაბეჭდა სტატია ცნობილი ამერიკელი ჟურნალისტის დოროთი ტომპსონისა, რომელიც წერს: „საბჭოთა ნოტის ზუსტი ტექსტი არ გადაცემულა ამერიკის პრესაში... მთავრობამ დაამახინჯა ნოტის შინაარსი და განაცხადა, ივი ახალს არაფერს შეიცავსო. ეს მართალი არ არის". შემდეგ ტომპსონი აღნიშნავს, რომ მისი 30 წლის ჟურნალისტური საქმიანობის მანძილზე „არასოდეს არ უნახავს ძირითადი ისტორიული ფაქტების ასეთი მიჩქმალვა"

ჰიულეგ ჯონსონის სიგყვა მშვიდობის მომხრეთა მიგინგზე ლონდონში

პრაღა, 2 აპრილი. (საკდესი). როგორც ტელეპრესის საგენტოს კორესპონდენტმა გადმოგვცა, კენტერბერის ტაძრის წინამძღვარმა ჰიულეგ ჯონსონმა კინგსტონში (სამხრეთი ლონდონი) მშვიდობის მომხრეთა დიდ მიტინგზე განაცხადა, რომ მშვიდობისაკენ მიმავალ გზაზე დაბრკოლებას საბჭოთა კავშირი როდი წარმოადგენს. „საფრთხე, — თქვა მან,—მომდინარეობს მსოფლიოს სხვა ნაწილიდან".

ჯონსონმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ხელახალი შეიარაღების განხორციელების შედეგად ინგლისი კატასტროფამდეა მისული. „ჩვენ ვხედავთ, — განაცხადა მან, — როგორ მეორდება საცხოვრებელი სახლების, საავადმყოფოებისა და სკოლების მშენებლობა, როგორ მეორდება ჩვენი მარაგი.

ყოველივე ამისათვის შეიძლებოდა ერთბაშად მოგვეღო ბოლო, ჩვენ რომ გაგვეკეთებინა ერთი რამ, შეგვეცალა მთელი ჩვენი საგარეო პოლიტიკა და მეგობრობის ხელი გაგვეწოდებინა ჩინეთის, რუსეთისა და აღმოსავლეთ ევროპისათვის".

ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტიის ხელმძღვანელთა გასამართლება ბალტიმორში

ნიუ-იორკი, 2 აპრილი. (საკდესი). კომპარტიის მერილენდის შტატის ორგანიზაციის ლიდერი ჯორჯ მეიერსი—კომპარტიის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იმ ექვსი ხელმძღვანელიდან, რომლებსაც ახლა ასამართლებენ ბალტიმორში. სმიტის ყბადაღებული კანონის საფუძველზე, 31 მარტს გამოვიდა ბალტიმორის ფედერალურ სასამართლოში. მან განაცხადა: „ჩვენ გვასამართლებენ იმიტომ, რომ გამოვდივართ რესპუბლიკური და დემოკრატიული პარტიის სამხედრო პოლიტიკის წინააღმდეგ, იმიტომ, რომ ჩვენი სამშვიდობო ღონისძიებანი ხელს უშლიან მსხვილ მონოპოლისტებს მიიღონ სამხედრო მოგება. ეს პროცესი პოლიტიკური პარტიის ინსცენირებული გასამართლებაა".

დაგმო რა ეს ინსცენირებული პროცესი, მეიერსმა განაცხადა: „მე ვამაყობ კომპარტიის წევრობით და მისი საქმეებით. მე ვამაყობ კომუნისტური პარტიის ბრძოლით პროფკავშირთა უფლებებისათვის. მე ვამაყობ მისი ბრძოლით ულმობელი რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ".

გერმანია-პოლონეთის მეგობრობის ერთთვიური

საზეიმო კრება ბერლინში

ბერლინი, 2 აპრილი. (საკდესი). გუშინ სალამოს ბერლინში გაიმართა გერმანია-პოლონეთის მეგობრობის ერთთვიურის დაწყებისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება. კრება მოაწყეს დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის ეროვნულმა საბჭომ და გერმანია-პოლონეთის მშვიდობიანი და კეთილმეზობლური ურთიერთობის საზოგადოებამ.

კრებას დაესწრნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წევრები, საბჭოთა საკონტროლო კომისიის წარმომადგენლები, პოლონეთის დელეგაციის წევრები პროფესორ ჟულკევსკის მეთაურობით, დემოკრატიული პარტიებისა და მასობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები და ბერლინის საწარმოთა მშრომელები.

კრებაზე სიტყვა წარმოთქვა გერმანიის საგარეო და საშინაო ვაჭრობის მინისტრმა გეორგ ჰანდკემ. მან აღნიშნა გერმანელ და პოლონელ ხალხთა მეგობრობის დიდი მნიშვნელობა, აგრეთვე ოდერ-ნოისეზე პოტსდამის შეთანხმებით დაწესებული საზღვრის მნიშვნელობა ევროპაში მშვიდობის განმტკიცებისათვის. ჰანდკემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ გერმანია-პოლონეთის მეგობრობა, რომელიც განუწყვეტლივ მტკიცდება, დიდი წვლილია მშვიდობისათვის ხალხთა ბრძოლაში და რომ ეს მეგობრობა ლაზვარსა სეკმს ომის დასავლეთგერმანელ და ამერიკელ-ინგლისელ გამჩაღებელთა აგრესიულ გეგმებს.

პოლონეთის დელეგაციის მეთაურმა პროფესორმა ს. ჟულკევსკემ გულთბადი სალამი გადასცა გერმანელ ხალხს პოლონელი ხალხის სახელით. თავის სიტყვაში მან აღნიშნა, რომ პოლონელი ხალხი მიესალმება საბჭოთა მთავრობის ნოტას დასავლეთ სახელმწიფოებისადმი გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადების შესახებ, ნოტას, რომელიც გვიჩვენებს ევროპაში მტკიცე მშვიდობის დამყარების გზას. პოლონელ ხალხს, განაგრძო მან, სწამს გერმანელი ხალხის დემოკრატიული ძალები, რომლებიც შეძლებენ ჩაშალონ ომის იმპერიალისტ გამწყრეტელთა აგრესიული გეგმები.

დემონსტრანტების დახვრეტა ფანქერში

პარიზი, 1 აპრილი. (საკდესი). როგორც პრესა იუწყება, 30 მარტს მაროკოში პროტექტორატის რეჟიმის დამყარების შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერის 40 წლისთავზე მაროკოს სხვადასხვა ქალაქებში გაიმართა სახალხო კრებები, მიტინგები და მანიფესტაციები უცხოელ იმპერიალისტთა კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად. სამაათასიანი დემონსტრაცია გაიმართა აგრეთვე ტანჟერის საერთაშორისო ზონაში.

გაზეთი „ლიბერასიონი" წერს, რომ ტანჟერში პოლიციამ სროლა აუტეხა დემონსტრანტებს. მოკლულ იქნა 25 კაცი, მათ შორის ერთი ქალი და ერთი ბავშვი. დაჭრილთა რიცხვი 160-ს აღემატება. ამჟამად ტანჟერში ფაქტიურად საალყო წესებია გამოცხადებული.

საომარი მოქმედება ჩრდილოეთ ვიეტნამში

შანხაი, 1 აპრილი. (საკდესი). ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო ჩრდილოეთ ვიეტნამიდან იუწყება:

მარტის 10 დღის განმავლობაში სახალხო არმიის ნაწილებმა, რომლებიც წითელი მდინარის აუზში მე-3 სამხედრო ზონაში მოქმედებენ, 112 ბრძოლა გადაიხადეს. ამ ბრძოლების მსვლელობაში, რომელთა მიზანი იყო ხოაბინის კამპანიის წარმატების შემდგომი განვითარება, სახალხო ჯარებმა გაანადგურეს მტრის 18 საგუშაგო, 17 სხვა საგუშაგო აიძულეს იარაღი დაეყარა და კიდევ 15 საგუშაგოდან განდევნეს მოწინააღმდეგე. ამ ხნის განმავლობაში მოკლულ და დაჭრილ იქნა მტრის 424 ჯარისკაცი და 6 ოფიცერი, ტყვედ წაყვანილია 550 ჯარისკაცი და ოფიცერი, წამოღებულია დაკლა.

ხურათზე: ელექტრომავალთა შემკეთებელი ქარხნის მუშა-მოხამსახურეთა საცხოვრებელი სახლი.

ფოტო რ. აკოფოვისა

„საქართველოს ახალმშენებლობანი"

საქართველოს საბჭოთა მხატვრების კავშირმა ხურათების გალერიაში გახსნა მხატვართა ახალი ნამუშევრების გამოფენა. გამოფენაზე წარმოდგენილი ჩანახატები, ესკიზები და დიდი ტილოები მნახველს წარმოდგენას აძლევენ იმ შრომითს ენთუზიაზმზე, რითაც ხასიათდება სამგორის, რუსთავის, ბულაჩაურის და მთელ რიგ სხვა დიდ საშენებლო ობიექტთა კოლექტივების მუშაობა.

გამოფენაზე მხატვართა 150 ნამუშევარია. მათი დიდი ნაწილი შესრულებულია სტალინის სახელობის სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობაზე. იქვეა ნამუშევრები საქართველოს ახალი ინდუსტრიული ნიამაყის რუსთავის მშენებლობაზე, აგრეთვე ბულაჩაურის, მუხრანის სარწყავი სისტემის, ვანათის არხის და რესპუბლიკის დედაქალაქის ახალ მშენებლობებზე.

გამოფენაზე წარმოდგენილ ნამუშევართა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ახალგაზრდა მხატვრების შემოქმედებას.

მწერლები სამგორის პირველ სოფელში

ამას წინათ სამგორში გაშენებულ და დასახლებულ პირველ სოფელს ესტუმრა ქართველი და რუსი მწერლების დიდი ჯგუფი.

სტუმრების ჩასვლის გამო სამგორელი კოლმეურნეები შეიკრიბნენ ადგილობრივ სასოფლო კლუბში, სადაც გაიმართა მწერლებთან შეხვედრა. შეხვედრაზე მოხსენება „სამგორი ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში" გააკეთა პოეტმა თ. ჯანგულაშვილმა, სიტყვები წარმოთქვეს პოეტმა-აკადემიკოსმა, სტალინური პრემიის ლაურეატმა გიორგი ლეონიძემ და მწერალმა გ. ქიქოძემ. მწერლებს მიესალმნენ სამგორის ახალი სოფლის კოლმეურნე გ. ჩადუნელი, სართიჭალის საშუალო სკოლის მასწავლებლები შ. ბედოიძე და ქ. ბიბილური. საკუთარი ლექსები წაიკითხეს პოეტებმა ალ. გომიაშვილმა, კ. კალაძემ, რ. მარგიანმა, ალ. მეფისოვმა და თ. ჯანგულაშვილმა.

ადგილობრივი საშუალო სკოლის მოსწავლეებმა წაიკითხეს ქართველი პოეტების ლექსები.

ქართველმა მწერლებმა იკისრეს სამგორის პირველი სოფლის სამკითხველოს შეფობა.

სასამართლო

შარაგზის ავაზაკები

ო. სანიკიძე, ვ. ანდრიასოვი და მ. ჯინჭარაძე თბილისში სისტემატურად თვალთმაქცობდნენ, ავტომძღოლებს მოტყუებით უსხდებოდნენ მანქანებში, ძარცვავდნენ მძღოლსა და მანქანას და მოხერხებულად იმალებოდნენ. გასული წლის ნოემბერში მ. ჯინჭარაძემ და ვ. ანდრიასოვმა გაძარცვეს ავტომძღოლები ვ. პონომარიოვი და ო. ბარსეევანიშვილი, წაიღეს ავტომანქანის ნაწილები, ხოლო ავტომძღოლი ა. როსტეევანოვი, რომელმაც წინააღმდეგობა გაუწია, მოკლეს.

საგამომძიებლო ორგანოებმა ბოროტმოქმედთა კვალს მიაგნეს, შეიპყრეს სანიკიძე, ანდრიასოვი და ჯინჭარაძე.

ბოროტმოქმედთა საქმე ამას წინათ გაარჩია საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ ა. ფხაკაძის თავმჯდომარეობით. ბრალდებას მხარს უჭერდა საქართველოს სს რესპუბლიკის პროკურორის თანაშემწე გ. ჟორდანია.

სასამართლო კოლეგიამ ო. სანიკიძეს და ვ. ანდრიასოვს მიუსაჯა თვითეულს შრომა-გასწორების ბანაკში 25 წლით პატიმრობა ქონების კონფისკაციით და სასჯელის მოხდის შემდეგ 3 წლის ვადით საარჩევნო ხმის უფლების ჩამორთმევა, მ. ჯინჭარაძეს—შრომაგასწორების ბანაკში 20 წლის პატიმრობა, ქონების კონფისკაცია და სასჯელის მოხდის შემდეგ 3 წლით საარჩევნო ხმის უფლების ჩამორთმევა.

ქალაქ თბილისის გარნიზონის სამხედრო კომენდანტი

ქალაქ თბილისის გარნიზონის უფროსის ბრძანებით თბილისის გარნიზონის სამხედრო ნაწილები, შტაბები, სამმართველოები, დაწესებულებები და სამხედრო სასწავლებლები 1952 წლის 7 აპრილიდან გადადიან საზეიმოზულო ფორმის ტანსაცმელზე.

ქ. თბილისის გარნიზონის სამხედრო კომენდანტი — პოლკოვნიკი ძულიძე

ქალთა საკავშირო პირველობა ჭადრაკში

1 აპრილს გათამაშდა გადადებული და გამოტოვებული პარტიები.

გაუთამაშებლად დანებდა ე. ბელოვა ე. ბიკოვას, ხოლო ს. პოდგოინაია და ო. რუბცოვა, ო. რუბცოვა და ს. როოტარე ყაიმზე შეთანხმდნენ. ე. ბიკოვამ მოუგო ბ. ვაისბერგს და ყაიმით დამთავრა შეხვედრა ნ. ვოიცეკოვან. ყაიმით დამთავრდა ავრეთვე ო. იგნატიევა — ნ. ვოიცეკის და ბ. ვაისბერგ — ო. იგნატიევას პარტიები. ვ. ტიხომოროვა დამარცხდა ო. რუბცოვასთან და ს. როოტარესთან.

გათამაშებულ იქნა თ. სტრანდსტრემ — ტ. ფილანოვსკაიას გამოტოვებული პარტია, რომელიც მე-40 სვლაზე თ. სტრანდსტრემისათვის მოსაგებ მდგომარეობაში გადაიდო.

მერვე ტურის დამთავრების შემდეგ ო. რუბცოვას აქვს 6 ქულა, ესტონეთის ჩემპიონს ს. როოტარეს 5½, ლ. ვოლპერტს — 5 (ერთი გამოტოვებული პარტია).

დღეს გაზეთ „ზარია ვოსტოკაში"

პირველი გვერდი — ამხანაგ ი. ბ. სტალინის მისალმება კუზნეცკის მეტალურგიული კომბინატის კოლექტივისადმი.

მოწინავე — სტალინური მზრუნველობა ხალხის კეთილდღეობისათვის.

საინფორმაციო ცნობა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ.

საერთო სათაურით „ფასების ახალი შემცირება — ხალხის კეთილდღეობაზე სტალინური მზრუნველობის თვალსაჩინო დადასტურება" წერილები: გულითადი მადლობა მშობლიურ სტალინს. ვასახელოთ სამშობლო ახალი შრომითი მიღწევებით. უფრო უკეთ ვიმუშაოთ. საბჭოთა მთავრობის სამშვიდობო პოლიტიკის ახალი დადასტურება. ვაჭრობა ახალი, შემცირებული ფასებით.

საბჭოთა დელეგაცია საერთაშორისო ეკონომიურ თათბირზე.

მეორე გვერდი — პარტიული ცხოვრება — კედლის გაზეთი. პ. ცქვიტაია — ქალაქკომი და პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნები.

გაზაფხული ჩაის პლანტაციებში (მკითხველთა წერილების მიხედვით).

ს. ვალანდიანი — რატომ ჩამორჩება შახტი № 1. კ. მუმლაძე — გავაუმჯობესოთ რუსთავის მატარებლების მოძრაობა.

ჩვენ გვწერენ.

საკავშირო ინფორმაციები.

მესამე გვერდი — უცხოეთის გამოხმაურება სსრ კავშირში ფასების ახალ შემცირებაზე.

ლ. პირადოვი — სხვადასხვა ხალხთა შვილები (კინორეცენზია).

საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი ბუდაპეშტში. უცხოეთის ინფორმაციები

მეოთხე გვერდი — უცხოეთის ინფორმაციები. ქალაქის ქრონიკა.

რედაქტორის მოადგილე
ი. ნატროშვილი

საქართველოს რადიოინფორმაციის კომიტეტის გადაცემათა პროგრამა

(რადიოსადგურებით 1.500 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით)

4 აპრილს

06.25—ქართული ხალხური სიმღერები; 07.30—სიმფონიური მუსიკის კონცერტი; 09.20—ქართული საოპერო მუსიკის კონცერტი; 10.30 — აკაკი ბელიაშვილის მოთხრობა „ძალა სიყვარულისა"; 11.10 — საბალეტო მუსიკის კონცერტი; 17.15 — პოპულარული მუსიკის კონცერტი; 17.40 —გადაცემა მოსწავლეთათვის; 18.15 — კონცერტი; 19.15 — ქართული ხალხური სიმღერები; 20.30 — ქალაქის ქსელით — ქართველ კომპოზიტორთა სიმღერები, რადიოსადგურებით — გადაცემა სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის; 20.45 — საფორტეპიანო მუსიკის კონცერტი; 21.00 — ლექცია დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შემსწავლელთა დასახმარებლად: „საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო"; 21.50 — საბჭოთა კავშირის ხალხთა სიმღერები და საცეკვაოები; 22.30 — ლიტერატურული გადაცემა; 22.50 — სიმფონიური მუსიკის კონცერტი; 00.05 —საბჭოთა კომპოზიტორების სიმღერები.

დღეს თეატრებში

ოპერისა და ბალეტის—სინათლე (1-ლი აბ.); **რუსთაველის სახელობის** — სამშობლო; **მარჯანიშვილის სახელობის** — ცეკვის მასწავლებელი; **გრიბოედოვის სახელობის** — ოცდაათი ვერცხლი; **მუსიკალური კომედიის** — ტრემბიტა (მე-12 აბ.); **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — რევოლუციური სამხედრო საბჭო (4 ს.); **თოჯინების ქართული** — ბაკი-ბუკი (12 და 2½ ს.); **ხანკულტურის**—კარგი ამხანაგი; **ცირკი** — დიდი საცირკო წარმოდგენა.

დღეს კინოებში

რუსთაველის სახელობის, „ოქტომბერი", „ინანი" — მსახიობი ქალის ოცნება; **„თბილისი", „კომკავშირელი", 26 კომისრის სახელობის** — ჩვენ მშვიდობა გვინდა; **„კოლხიდა"** — ტყუპები.

მოქალაქე **თამარ ნიკოლოზის ასულმა ბექაურმა,** მცხოვრებმა 9 ძმის ქ. № 18, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **ივანე ალექსანდრეს-ძე ბექაურთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს მოლოტოვის რაიონის პირველი უბნის სახალხო სასამართლო.

დეიდა მატრონა, დეიდაშვილები ნინო, ლიდა, არჩილ, დავით ცაგარეიშვილები ოჯახებით იუწყებიან პროფესორ **აკაკი ონისიმეს-ძე სანიკიძის** გარდაცვალებას.

შვილები ილია, მარო, კირილე, სიძე ბ. მოისწრაფიშვილი, რძლები ვ. ხვიჩია, გ. კვირკელია, შვილიშვილები ასმათ, ქეთო, ციალა, თინა, ემელიანე, ნოდარ, მედეა, მზია იუწყებიან **ქრისტინე კვირკელიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 5-IV, სოფ. ვაკოჯავარში (მახარაძის რ.).

შვილი ანა, შვილიშვილები ქეთო, თინა კალანდაძეები, ლევან, მარინა, ოთარ, შოთა, რობერტი ჩიხლაძეები იუწყებიან **მარიამ ზაქარიას ასულ ჩიხლაძის** გარდაცვალებას. ბანაშვილი 3, 4-IV, 8 ს. გამოსვენება 5-IV, 5 ს. ჩელუსკინელთა, 33.

შვილები ელენე, შურა, ნადია, სიძე ასლან ხუნდაძე, რძალი ანა, შვილიშვილები ჩიტო, უდული, გიული, ალბერტ, ცისანა, დოდო, ნანა იუწყებიან **თამასი ნიკოლოზის-ძე ჯალაღანიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 6-IV,